F76 N370

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 20 ივნისი, 1941 წ. — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო — № 25 (184) ფასი 30 კაპ.

## გ ო რ კ ი

ხუთი წელი გვაშორებს იმ საყოველთაო-სახალხო მწუხარების დღეს, როცა ხალხის უბოროტესმა მტრებმა მუხანათურად მოუსპეს სიცოცხლე სოციალისტური ლიტერატურის ფუძემდებელს, მხატვრული სიტყვის უდიდეს ოსტატს, მშრომელთა უერთგულეს მეგობარს და კომუნიზმისათვის თავდადებულ მებრძოლს ალექსი მაქსიმის-ძე გორკის.

ხალხის დაუძინებელმა მტრებმა გორკი მოჰკლეს იმიტომ, რომ იცოდნენ [illegible] ლენინისა და სტალინისადმი.

[illegible]

მთელი თავისი შემოქმედებით, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობით გორკი [illegible]

გორკის მიერ დატოვებული დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა — მისი რომანები, მოთხრობები, პიესები, პუბლიცისტური წერილები [illegible] ჰყოს მწერალმა თავისი შემოქმედება, როგორ დაუქვემდებაროს იგი მშრომელი ხალხის სამსახურს. გორკი, რომელიც თავის თავს და თავის მხატვრულ შემოქმედებას უმკაცრეს მოთხოვნებს უყენებდა, საბჭოთა ლიტერატურასა და საბჭოთა მწერლების ცალკე წიგნებზე დაწერილ შენიშვნებში გვაძლევს ლიტერატურული შრომისადმი ჭეშმარიტი მხატვრის დამოკიდებულების შესანიშნავ მაგალითს.

გორკი მთელი თავის მდიდარი მემკვიდრეობით ზრდის ჩვენი ეპოქის მწერლობას, „ადამიანის სულის ინჟინერებს", ასწავლის მათ ახალი ადამიანის სულის შენების ოსტატობას.

გორკის შემოქმედება და მისი პრაქტიკულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა იყო და არის განუწყვეტელი ბრძოლა ახალი ადამიანური ცხოვრებისათვის, სოციალისტური ჰუმანიზმის დამკვიდრებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის საზოგადოებრივ ურთიერთობასა და ყოფაში. ამიტომ სცოცხლობს გორკი ყველაფერში, რასაც ჰქმნიან და აკეთებენ საბჭოთა კავშირის ხალხები **ლენინ-სტალინის** პარტიის წინამძღოლობით.

გორკი ცოცხლობს და მთელი მგზნებარებით ებრძვის დღესაც კაპიტალისტური მსოფლიოს გაველურებას, რომელიც მხეცური დაუნდობლობით ანადგურებს საუკუნეების მანძილზე შექმნილ კულტურას. მეორე იმპერიალისტური ომის ხანძრის მძვინვარებაში, სისხლის წვიმების ქარიშხალში კვლავ მკვეთრად გაისმის დიდი ჰუმანისტის გორკის მოწოდება: „ვისთან ხართ თქვენ, კულტურის ოსტატებო?" და ამ მოწოდებაზე ყველა ის, ვისაც პატიოსნება და გამბედაობა შესწევს, უპასუხებს: ჩვენ ვართ მათთან, ვინც იბრძვის მშვიდობიანობისათვის, ბარბაროსობისა და ველურობის წინააღმდეგ.

დღეს, როცა პროგრესიული კაცობრიობა ირაზმება გადამწყვეტი იერიშის მისატანად იმ სისტემაზე, რომელმაც დედამიწის ხუთი მეექვსედი ველურობამდე, საშინელ განადგურებამდე მიიყვანა, კომუნიზმისა და სოციალისტური ჰუმანიზმის იდეებით გამსჭვალული გორკის შემოქმედება, აქტიურ ძალას წარმოადგენს ამ ბრძოლაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

საერთაშორისო კაპიტალიზმის აგენტებმა იცოდნენ ძალა და მნიშვნელობა გორკისა. ამიტომ მოჰკლეს იგი. მაგრამ ვერ მოჰკლეს მისი ოცნება, მისი ძლიერი მგზნებარე სიტყვა. გორკი ცოცხალია, ცოცხალი იქნება ხვალაც, მსოფლიო კაპიტალიზმთან გადამწყვეტი ბრძოლის დღეებში. გორკი იცოცხლებს მარად კომუნიზმის ყოველ ახალ გამარჯვებაში.

## მოკვდა დიდი კაცი

### ჯამბული

ამღერდი ჯამბულო წუხილით, დარდით,
ქვეყანას ეუწყა ამბავი მკაცრი;
ამბავი მოვიდა შორ აულამდი:
გორკი გარდაიცვალა, ეს დიდი კაცი..
უეცრად დაკეცა ფრთა ქარიშხალამ,
უეცრად დაასკდა კლდეს შევარდენი,
ვინც ხალხებს შესწირა სიმღერის ძალა,
ვინც ასე ადიდა სამშობლო ჩვენი.
იგი სამშობლოში მოვიდა მაშინ,
როდესაც რიჟრაჟი არ იყო ახლო.
წარსულის წყვდიადში და წამებაში
სდუმდა ეს ქვეყანა, ვით სატუსაღო.
მუქივით დაინთო სიმღერა მისი,
ღამის ბნელ ზეცაზე, ვით ვარსკვლავედი.
ისმოდა სიმღერა მხარეში რისხვით,
ხალხს ცეცხლით ბრძოლისა გაუთბო მკერდი.
ლენინმა მეგობრად იწამა იგი,
შეუქო სიმღერის წკრიალა ჰანგი.
დიდ სტალინს უკითხავს იმისი წიგნი,
უყვარდა ერთგული ძმა, ამხანაგი.
სიმღერა ბრძოლისა მან შეჰქმნა ლალი
ცეცხლოვან სიტყვების მარგალიტებით.
იმის სიმღერებში მხნედ, სიამაყით,
ჩაგრულმა მონებმა გამართეს მხრები.
იმის სიმღერებში ღვიოდა დილა,
უცქერდა მყობადის მზე მაშვრალთ სარკმელს.
იმის სიმღერებთან ხმაშეწყობილად
ვიდოდენ ხალხები მყობადისაკენ.
იყო გაზაფხული, ნიავი ჰქროდა,
ვარდი ირხეოდა სურნელთა მფენი;
დიდ გორკის სიბერეც ნათელი ჰქონდა,
იყო მშვენიერი, ვით მხარე ჩვენი.
დღეს სული დალია მჩქეფარებაში
იმ წყარომ ნათელმა, რომ ბობოქრობდა.
ყველაზე ბედნიერ ჩვენს ქვეყანაში,
ბედნიერესი მოხუცი მოკვდა.
იტირეთ სიმებო, იტირეთ წყნარად,
მოკვდა, ვინც სიმართლეს იცავდა მარად,
დიდმა ლენინმა ვინც შეიყვარა,
მზიურმა სტალინმა ვინც შეიყვარა.

თარგმნა **დავით გაჩეჩილაძემ**

ლექსი დაწერილია ა. მ. გორკის გარდაცვალების დღეს



## მაქსიმ გორკის „დედა"

მუშათა კლასს, მის ცხოვრებასა და ბრძოლას მაქსიმ გორკიმ მიუძღვნა მრავალი თავისი შესანიშნავი ნაწარმოები. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „დედა", რომელიც დიდი მხატვრული სიძლიერით ასახავს რევოლუციური პროლეტარიატის ყოფას სინამდვილეს. „დედა" უნდა ჩაითვალოს სოციალისტური რეალიზმის ერთ-ერთ პირველ ბრწყინვალე ნაწარმოებად.

მ. გორკის ამ ნაწარმოების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა მეტად დიდია. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ „დედა" პირველად გამოქვეყნდა 1907-1908 წლებში, როდესაც დამარცხდა პირველი რევოლუცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამეფდა დემორალიზაცია. იმ დროს, როდესაც მენშევიკები ამტკიცებდნენ, რომ 1905 წელს „არ უნდა აგვეღო ხელში იარაღი", გორკის „დედა" იცავდა შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობას. ეს წიგნი ამართლებდა **ლენინის** მითითებას იმის შესახებ, რომ უნდა „შევინარჩუნოთ რევოლუციური ბრძოლის ტრადიციები... შთავნერგოთ ის ფართო მასების შეგნებაში". ამიტომ გასაგებია ის მაღალი შეფასება, რომელიც მისცა ამ ნაწარმოებს **ლენინმა**, რომელმაც იგი წაიკითხა დაბეჭდვამდე, ხელთნაწერში.

მ. გორკი, რომელიც ყოველთვის მტკიცედ იდგა რევოლუციური ბრძოლის სადარაჯოზე, დროულად გამოვიდა ბრძოლისაკენ მომწოდებელი ნაწარმოებით. რეაქციის ბნელ ღამეში გაისმა პროლეტარული რევოლუციის ქარიშხლის მაუწყებელი ხმა. თავისი შესანიშნავი წიგნით გორკი ყველა პატიოსან ადამიანს ეუბნებოდა ნამდვილ ბოლშევიკურ სიმართლეს რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატის შესახებ, ხელს უწყობდა მებრძოლი სულის განმტკიცებას მასებში.

რეაქციის წლებში „დედა" ეხმარებოდა ბოლშევიკურ პარტიას ძალების მოკრეფაში, აძლიერებდა სიმტკიცის სულისკვეთებას რევოლუციის საქმისათვის მებრძოლ ადამიანებში. სწორედ ამას სთვლიდა ძირითად ამოცანად გორკი, როდესაც იგი ჰქმნიდა „დედას".

თვითმპყრობელურ - ბურჟუაზიულმა რეაქციამ ბრძოლის ყოველგვარი საშუალება გამოიყენა გორკის ამ ნაწარმოების წინააღმდეგ. უპირველეს ყოვლისა, წიგნმა განიცადა საცენზურო რეპრესიები. მეფის ცენზურას აშინებდა ამ წიგნის რევოლუციური შინაარსი და ამიტომ ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეშალა მისი დაბეჭდვისა და გავრცელებისათვის. კრებულ **«Знание»**-ს ის წიგნები, სადაც ქვეყნდებოდა რომანი, აკრძალა ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტმა, ხოლო ავტორი პასუხისგებაში მისცეს „ისეთი ნაწარმოების გავრცელებისათვის, რომელიც ხალხს აჯანყებს".

1917 წლის რევოლუციამდე რუსეთში ცალკე წიგნად არ გამოცემულა „დედა". რუსულ ენაზე არსებობდა მხოლოდ სამი საზღვარგარეთული გამოცემა, რომელიც რუსეთში არალეგალური გზით შემოჰქონდათ.

მხოლოდ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ წაიკითხა თავისუფალმა საბჭოთა ხალხმა გორკის ეს დიდი ნაწარმოები თავისი ნამდვილი სახით, მთლიანად, ისე, როგორც ის დაიწერა დიდი პროლეტარული მწერლის მიერ.

მეფის ცენზურასთან ერთად „დედას" წინააღმდეგ გაილაშქრა ბურჟუაზიულ - თავადაზნაურულმა კრიტიკამ. გორკის ამ ნაწარმოების წინააღმდეგ მიმართეს თავიანთი კალმები რეაქციული ლიტერატურის ისეთმა წარმომადგენლებმა, როგორიც იყო ფილოსოფოვი და გიპიუსი. მათ გამოაცხადეს გორკის „დასასრული".

ფილოსოფოვსა და გიპიუსთან ერთად გორკის „დაცემის" შესახებ დაიწყეს ლაპარაკი იგნატოვმა, იზმაილოვმა, აბრამოვიჩმა, კრანიხფელდმა, ვედენსკიმ და სხვა ბურჟუაზიულმა კრიტიკოსებმა. ყველა ესენი გორკის მთავარ „დანაშაულს" ხედავდნენ იმაში, რომ მან მხატვრულ სახეებში მარქსიზმის, ბოლშევიზმის პროპაგანდა დაიწყო. „გორკიმ უღალატა საკაცობრიო მწერლის თავის ადრინდელ მისიას და გახდა დამცველი პარტიული ინტერესებისა, პოპულარიზატორი სოციალ-დემოკრატიული იდეებისაო",—სწერდა ერთ-ერთი ბურჟუაზიული კრიტიკოსი.

გაერთიანებულნი საერთო სიძულვილით გორკის რევოლუციური ნაწარმოებისადმი, ბურჟუაზიული კრიტიკოსები სცდილობდნენ დაემცირებიათ „დედა", როგორც მხატვრული ნაწარმოები. ისინი რაც ძალა და ღონე ჰქონდათ გაჰკიოდნენ, რომ გორკი გადავიდა წერის ახალ მანერაზე და ამით როგორც მხატვარი, ძალზე დაბლა დაეშვაო". რასაკვირველია, ეს მართალი არ იყო, ეს პირდაპირი ცილისწამება იყო დიდი რევოლუციური მწერლის მიმართ, მისი გენიალური ნაწარმოების მიმართ.

ბურჟუაზიულ კრიტიკას ზურგს უმაგრებდა მენშევიკური კრიტიკა, ისიც ცდილობდა დაემცირებინა და უარეყო ეს შესანიშნავი რევოლუციური ნაწარმოები.

მიუხედავად დევნისა, „დედამ" დიდი სახელი მოიხვეჭა და საყვარელ წიგნად გადაიქცა მთელ მსოფლიოს მშრომელთათვის. ამას ნათლად მეტყველებს მუშა-მკითხველთა უამრავი წერილი და გამოხმაურება.

სულ მოკლე ხნის განმავლობაში (1907—1908 წ.) „დედა" გამოდის ცალკე წიგნად ამერიკაში, ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში, შვეციაში, ნორვეგიაში, დანიაში, ჰოლანდიაში, ბულგარეთში, სერბიაში, ოსმალეთში. გარდა ამისა, „დედა" ერთსა და იმავე დროს იბეჭდებოდა ამერიკის, გერმანიის, იტალიის და სხვა ქვეყნების პერიოდულ გამოცემებში.

„დედა" მ. გორკიმ დასწერა ცხოვრების დამახასიათებელ მოვლენათა გათვალისწინების შედეგად. უშუალო მასალად ამ ნაწარმოების შექმნისათვის გახდნენ 1902 წელს სორმოვოში მომხდარი ამბები — საპირველმაისო დემონსტრაცია და მისი მონაწილენი — მუშა-ბოლშევიკები. პ. ზალომოვი და მისი დედა ა. ზალომოვა—ესენი იყვნენ გორკის რომანის მთავარი გმირების —პავლე ვლასოვისა და მისი დედის პელაგია ნილოვნას—პროტოტიპები. მათი მრავალი ნიშანი, თვისება, მოქმედება (რევოლუციურ - პროპაგანდისტული მოღვაწეობა, მონაწილეობა საპირველმაისო დემონსტრაციაში, დატუსაღება, სასამართლო და სხვა) გორკიმ აიღო პ. ზალომოვისა და მისი დედის ცხოვრებიდან.

გორკი შემთხვევით არ შეჩერებულა ზალომოვების ცხოვრებაზე. პეტრე და ანნა ზალომოვების ცხოვრებასა და მოღვაწეობაში გამომჟღავნდა ტიპიური ნიშნები, რომლებიც ახასიათებდნენ ამ ეპოქის მუშა-რევოლუციონერებს.

„დედაში" მუშათა კლასი ასახულია თავისი საუკეთესო წარმომადგენლების სახით, ნაჩვენებია იგი როგორც კაპიტალიზმისა და, საერთოდ, ექსპლოატაციის ყოველი ფორმის წინააღმდეგ მებრძოლ ძალად.

„დედა" არის პირველი ნაწარმოები, რომელშიაც მ. გორკიმ სრულყოფილად გვიჩვენა მუშა-ბოლშევიკების სახეები.

„დედას" უდიდესი შემეცნებითი და მხატვრული მნიშვნელობა აქვს დღესაც. მის მაგალითზე სწავლობენ თანამედროვე საბჭოთა მწერლები იმას, თუ როგორ უნდა იქნას გამოხატული ცხოვრება თავისი ტიპიური მხარეებით და თავის განვითარებაში.

**დ. ნამორაძე**

## ექვსი წლის წინათ გორკასთან

— გმადლობთ მოსვლისათვის, გამიხსენეთ მოხუცი და გამახარეთ, — ამ სიტყვებით შეგვეგება ახოვანი, წელში ოდნავ მოხრილი ალექსი მაქსიმეს-ძე და თავის აგარაკის განიერ აივნიდან სახლში შეგვიპატიჟა.

მისაღებ განიერ ოთახში საკონცერტოდ მოვემზადეთ. მომღერლებმა საკონცერტო ტანისამოსი ჩაიცვეს, უმრავლესობა კი მოსკოვიდანვე ჩოხებში გამოწყობილი წამოვედით. ორმოცდახუთი კილომეტრი მოსკოვიდან გორკამდე ავტომ სწრაფად გაიქროლა, მაგრამ ზოგ ამხანაგს, მიუხედავად ამისა, მაინც დაეტყო დაღლილობა. გავამხნევეთ ერთმანეთი და საკონცერტოდ გავედით, გვერდით მდებარე დიდ სასტუმრო ოთახში.

კონცერტი მრავალგან და მრავალი გაგვიმართავს, გამოცდილება და გაბედულება არ გვაკლდა, მაგრამ ახლა მღელვარებისაგან ყველას გული ძალზე გვიცემდა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო: კონცერტი უნდა გაგვემართა ორი დიდი ბუმბერაზი მწერლის მაქსიმ გორკისა და რომენ როლანის წინაშე!

ოთახის ერთ კუთხეში იჯდა მაქსიმ გორკი თავისი შვილიშვილებითა და რძლით (მისი შვილი ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო), მეორე კუთხეში— საბჭოთა კავშირის საპატიო სტუმარი, საფრანგეთის დიდი მწერალი და ჰუმანისტი რომენ როლანი თავის მეუღლით (მისი მეუღლე მარია პავლოვნა რუსი ქალია). იქვე ისხდნენ მოსკოვიდან ჩამოსული სხვა სტუმრები.

საქართველოს მშრომელთა და ხელოვანთა სახელით მცირე მისალმების შემდეგ (ეს ბედნიერება მე მხვდა წილად) შევუდექით კონცერტს. ჩვენი ხალხური კულტურა ნაცნობი იყო გორკისათვის, ამიტომ ჩვენი კონცერტი მისთვის სასიამოვნო წუთების მოგონებათა აღმძვრელი შეიქნა. კონცერტის მსვლელობის დროს არა ერთხელ გამოსთქვა აღტაცება სიმღერისა და ცეკვების გამო. განსაკუთრებით მოეწონა ცეკვა „ბაღდადური".

— ეს ყველაფერი ნათესაურია, მეგობრებო, ნაცნობი, ახლობელი, — ამბობდა გორკი და აღტაცების ნიშნად მუშტებს კუმშავდა. — გმადლობთ ჩემი გახსენებისათვის, — კვლავ დასძინა მან.

სიმღერისა და ცეკვის ჩვენს განმარტებას რომენ როლანი თავის მეუღლეს ათარგმნინებდა. როლანი, როგორც დიდი მუსიკოსი, მუსიკათმცოდნეობის პროფესორი, რომელიც ადრე საფრანგეთის უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებელში ლექციებს კითხულობდა, ძალიან დაინტერესდა ჩვენი მუსიკალური ფოლკლორით. განსაკუთრებით განაცვიფრა გურული სიმღერების კონტრაპუნქტულმა აღნაგობამ, მეგრულის ლირიულობამ და ქართლ-კახურის მელოდიურობამ.

კონცერტის შემდეგ სასადილო ოთახში, საუზმეზე, სადაც მრავალი სადღეგრძელო დაილია, როლანი მრავალჯერ შემეკითხა იმ სიმღერების შესახებ, რომელთაც დამატებით საუზმეზე ასრულებდნენ ჩვენი სიმღერების საუკეთესო ოსტატები. მწერალი დარწმუნდა, რომ საქართველო უაღრესად მდიდარია მუსიკალური ფოლკლორით. მან სთქვა:

— მრავალი მხარე მომივლია, ბევრი ქვეყნის ხალხური სიმღერა მომისმენია, მაგრამ ასეთი მდიდარი მუსიკალური ფოლკლორი არსად შემხვედრია. სიმღერის სამხმოვანობა და კონტრაპუნქტი, რაც ახლა ჩემ მიერ მოსმენილ სიმღერებში სჩანს, ამტკიცებს ამ სიმღერების შემქმნელ ხალხის უაღრეს მუსიკალურ კულტურას.

გვეჩქარებოდა, საღამოს 7 საათმა მოაღწია, ჩვენ კი 9 საათზე მოსკოვის ერთ-ერთ დასასვენებელ ბაღში კონცერტი უნდა გაგვემართა, ამიტომ მასპინძელს დიდის მადლობით გამოვეთხოვეთ და მოსკოვისაკენ გავეშურეთ იმავე ავტობუსით.

ეს შეხვედრა მ. გორკისთან მოხდა 1935 წლის 18 ივნისს.

**ლადო გეგეჭკორი**

## მაქსიმ გორკისადმი მიძღვნილი გამოფენა

**კ. მარქსის** სახელობის საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის ფილიალში — **ს. ორჯონიკიძის** სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში გაიხსნა დიდი რუსი მწერლის მაქსიმ გორკისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენა გაიმართა მაქსიმ გორკის გარდაცვალებიდან 5 წლის შესრულების გამო.

გამოფენილია გორკის ნაწარმოებთა თარგმანები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ხალხის 70 ენაზე, მასალა მწერლის ცხოვრებისა და პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ და სხვ.

გამოფენილ წიგნებს შორის არის ახალი საბჭოთა რესპუბლიკების—ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის ენებზე გადათარგმნილი ნაწერები გორკისა.

# იმამი ლოჟაში*

## აკაკი გაწერელია

ჟამი ტირილად და ჟამი სიცილად... ჟამი დუმილისად და ჟამი მეტყველებისად, ჟამი სიყვარულისად და ჟამი სიძულილისად, ჟამი ბრძოლისად და ჟამი მშვიდობისად...

ეკლესიასტე.

1859 წ. 19 სექტემბრის დილით რამდენიმე მძიმე სამგზავრო კარეტა შეჩერდა ქალაქ კურსკის ერთ-ერთ ქუჩაზე მდგარ ორსართულიანი სახლის წინ.

ეტყობოდა, ქალაქში უკვე გაეგოთ ექსიმამის ჩამოსვლის ამბავი. ხალხის დიდი ტალღა ხმაურით მისდევდა პირველ კარეტას, რომელშიაც სახელგანთქმული ტყვე იჯდა. სახლის წინ კარეტიდან გადმოვიდა ახოვანი მამაკაცი, გაიელვა მუქ-ინისფრად შეღებილმა წვერმა, თეთრმა ჩალმამ და თეთრმა ჩოხამ. შამილი პოლკოვნიკ ტრამპოვსკისა და ამალის თანხლებით აჰყვა სახლის კიბეს და ხალხის თვალს მიეფარა.

ქუჩაში თავმოყრილ ხალხს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი უსათუოდ ენახა შამილი, მაგრამ ტყვეებისათვის მიჩენილი ბინის მთავარი დარბაზი წინასწარ აევსოთ მანდილოსნებსა და მოხელეებს. სახლი მთლიანად ალყა შემორტყმული იყო, თუმცა ისეთ მიუდგომელ ციხედ არ ითვლებოდა, როგორც მთიელთა მეთაურის უკანასკნელი თავშესაფარი — კლდოვანი გუნიბი, სადაც იგი დაატყვევეს.

დარბაზის კარებიც გაიღო და ცნობისმოყვარეებმა დაინახეს საჩეჩნოსა და დაღისტნის ყოფილი იმამი. მან გულზე ხელი მიიდო და უფრო თვალების, ვიდრე თავის დახრით მიესალმა დარბაზში შემოსულთ.

როგორც სტავროპოლსა და ხარკოვში, აქაც, პირველი გამოჩენისთანავე, მნახველებზე მაგიურად იმოქმედეს შამილის გაფაქიზებულმა ჟესტმა მისალმების დროს და თანდაყოლილმა ტაქტმა, რომლითაც ის შეეგება დახვედრილ სტუმრებს. სისხლისმღვრელი ფანატიკოსის და ველურის ნაცვლად მათ წინაშე იდგა მოხუცი რაინდი ფერმკრთალი, თითქმის უვნებო, მაგრამ ჭკვიანი სახით. მკერდზე ხშირი, მუქ-ინისფერი წვერი ეფინა. წვრილ წარბებს შორის ღრმა ნაოჭი მიუყვებოდა. სწორი ცხვირი და მიწურული, ნაცრისფერ-მომწვანო თვალები კუშტად გამოიყურებოდნენ ფაფახიდან, რომელიც ზევით დახვეული თეთრი ჩალმით თავდებოდა. სახის საერთო გამომეტყველება დაღლილობასა და ფარულ სევდას ამჟღავნებდა. შამილის სულიერ დრამას ვერ ფარავდა ის ღიმილიც, რომელიც მის თხელ ბაგეებზე ათამაშდებოდა ხოლმე და უთეთრესი კბილების ორ რიგს აჩენდა.

ექსიმამი მაღალი, ოდნავ გამხდარი, მაგრამ მაინც ბრგე მოყვანილობის მოხუცი იყო. თეთრი ჩოხა ეცვა, მოწითალო, წვერმოკაუჭებული და მაღალქუსლებიანი ფეხსაცმელი ხმას გამოსცემდნენ პარკეტის იატაკზე. იგი იარაღ-ახსნილი შემოვიდა დარბაზში. მარცხენა ხელში გრძელი კრიალოსანი ეჭირა და როცა ამ კრიალოსანს მაჯაზე გადაიკიდებდა, განთავისუფლებული თითებით ჩოხის ქვემოთ გულის ჯიბიდან ამოჰქონდა საათი ან ფერადი ცხვირსახოცი. მაშინ ექსიმამის ნეკზე ვერცხლის უხეში ბეჭედი ანათებდა.

შამილის გარეგნობაში ყველაფერი ძლიერ ნებისყოფას და მბრძანებლობას ჩვეულ ხასიათს ამჟღავნებდა. ხანდაზმულობის მიუხედავად მისი მიმოხვრა ალსავსე იყო საკუთარი ღირსების შეგნებითა და საზღვარ მიჩენილი, მრისხანებანარევი გრაციით.

შამილმა გაბნეული მზერით გადახედა დარბაზში მყოფთ და შემდეგ დივანზე მოთავსდა. მის გვერდით დადგნენ ღაზი-მუჰამედი და თარჯიმანი გრამოვი. ორი მურიდი მანეკენებივით იდგა მბრძანებლის შორი-ახლო. თარჯიმანს გარდა, ყველას ფაფახები ეხურა, ჩოხები ეცვა და მარტო ხანჯლები ეკიდა.

აი, შამილმა ყრუდ ამოისუნთქა, თეთრი ხელებით გაისწორა მხარიღლივ გადაცმული ხმლის განიერი თასმა, შემდეგ ისევ ალმაცერად გადახედა სტუმრებს, თითქოს სარკმელიდან შემოჭრილ სინათლეს უფრთხისო. ეს სახეები და ეს მორთულობა უკვე ნაცნობი იყო მისთვის, სტავროპოლსა და ხარკოვში ბევრი ასეთი ენახა. მხოლოდ ერთმა მიიქცია ექსიმამის ყურადღება: მას კავკასიის არმიის ოფიცრის მუნდირი ეცვა.

შამილს სახე გაუბრწყინდა. მისი ვიწრო ქუთუთოები ჩვეულებრივზე უფრო გაფართოვდნენ.

— რას ნიშნავს თქვენი ჩერქეზული მორთულობა? — ჰკითხა მან უცნობს თარჯიმნის პირით.

— მე კავკასიაში ვმსახურობდი! — უპასუხა ოფიცერმა.

— დიდიხანია იქიდან ხართ? — იკითხა ისევ შამილმა.

— უკვე თვრამეტი წელიწადია!

— თქვენ ჩემი თანამემამულე ხართ და მიხარია, რომ გხედავთ!

ამ სიტყვებთან ერთად ის ჩაფიქრდა, ყრუდ ამოიოხრა, კრიალოსნის მარცვლას მოჰყვა და თან უხმოდ ამოძრავებდა ბაგეებს: გიაურთა შორის ჭეშმარიტი მუსლიმანი მუდამ თავისთვის უნდა ლოცულობდეს!

დარბაზში ხმა ამოუღებლად იდგნენ და შესცქეროდნენ ტყვეს ისე, თითქოს გამოფენაზე ყოფილიყვნენ. ხალხი იმახსოვრებდა შამილის ყოველ მოძრაობას: მარცხენა ხელის იდაყვით იგი ჩვეულებრივ ეყრდნობა თავისავე მუხლს, ან ნელა ივარცხნის წვერს თითებით, ან კიდევ მარცვლავს კრიალოსანს. ზოგჯერ საჩვენებელი თითით შუბლთან მაღლა აიწევს მძიმე ფაფახს და წამიერად აჩენს გადაპარსულ თავს.

დივანზე მჯდომი ის უფრო მოხუცი ჩანს...

ბოლოს შამილს თითქოს მობეზრდა ეს მდუმარე ცერემონია და ადგა გასასვლელად. გაისმა მისი ჩინებული არაბული, ოდნავ ჩახლეჩილი ხმით ნათქვამი:

— მე, მოხუცმა, უკვე დროა დავისვენო. ნასადილევს მოხარული ვიქნები მივიღო ყველა, ვინც ჩემს ნახვას მოისურვებს.

შამილს არ დაუცდია, სანამ თარჯიმანი გადაუთარგმნიდა სტუმრებს მის სიტყვებს — გამოემშვიდობა ყველას და მხნე ნაბიჯით გავიდა დარბაზიდან.

მანეკენთა ჯგუფი უმალვე შეირხა და თან გაჰყვა.

O

მოახლოვდა ნაშუადღევიც. სამ საათზე ექსიმამის დროებითი სამყოფელის შესავალთან ისევ მოეყარა თავი ხალხს. კიბეზე და დერეფანში ცნობისმოყვარენი ირეოდნენ. მოსულიყვნენ სხვადასხვა ჰასაკისა და წოდების მოქალაქენი. ფერადი შლიაპები და მუშკეტერთა ფლუგერები, ჩამოფლეთილი პალტოები და საქეიფო სახლებისათვის შესაფერი კოსტიუმები ერთმანეთში იყო არეული. ეს მრავალფეროვანი მასა ჰქმნიდა მთლიან და განუმჭვირვალ ტალღას, რომლის ერთი ბოლო ეხებოდა ექსიმამის ბინის კარებს, მეორე კი — ჟანდარმებითა და პოლიციის მოხელეებით დაქსელილ ქვაფენილს.

ზოგჯერ ხალხის ეს მასა ანაზდეულად შეირხეოდა: რომელიმე ვაჟკაცი, თანამყოლი ქალის მიერ წაქეზებული, ცდილობდა გზა გაეკაფა: ისინი მთელი ძალღონით მიიწევდნენ წინ, მაგრამ მიზანს ვერ აღწევდნენ, რჩებოდნენ ხალხშივე და იძულებული იყვნენ ემოძრავნათ იქვე, რადგან უკან გაბრუნება ან წინ წასვლა შეუძლებელი ხდებოდა. შენიშვნები, აყალმაყალი, ბუზღუნი და ხმამაღალი მითქმა-მოთქმა ავსებდნენ ჰაერს და ქუჩას აყრუებდნენ. ორსართულიანი სახლების ფანჯრებიდან იცქირებოდნენ უჩვეულო სანახაობით დაინტერესებული დიასახლისები.

დიდი ლოდინის შემდეგ, ხუთ საათზე, გამოჩნდა შამილი ვაჟისა და დანარჩენი ამალის თანხლებით. ეტყობოდა, სახლის შიგნით მოხვედრილთ უკვე ესაუბრნათ მასთან, ახლა კი ტყვე იმამი სადღაც მიემგზავრებოდა. შამილი ჩვეულებრივ მიესალმა ქუჩაში თავმოყრილ ხალხს და ახლო მდგარ კარეტისაკენ გაემართა. მან მარცხენა მკლავზე გადაიდო ზურგზე დაშვებული თეთრი ჩალმის გრძელი ბოლო, რადგან, ამალისაგან მოწყვეტილი, იგი მანდილოსანთა ჯგუფებს შორის მიდიოდა და ფრთხილობდა ჩალმის თეთრი ტოტი ვისმეს არ მოსდებოდა. საქმეში ჩაერია პოლიცია, რომელმაც ყვირილით და მუქარით ძლივს მოახერხა მშვიდობიანად ჩაესვა კარეტაში შამილი და მისი მხლებლები.

ტყვეები გუბერნიის უფროსის სანახავად მიდიოდნენ.

გუბერნიის მმართველს, ნიკოლოზ პეტრეს-ძე ბიბიკოვს ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე ეჭირა დიდი, ბოიარისათვის შესაფერი სახლი. ოთახები ხალიჩებით, ძველი სამარი იარაღითა და პალმებით იყო მორთული. მთავარ დარბაზში, კარების პირდაპირ, კედელზე ეკიდა იმპერატორის სურათი. სასტუმრო დარბაზი აევსოთ მასპინძლის ნათესავებსა და ახლო ნაცნობთ, რომელთაც ტყვეების ნახვა ეწადათ.

ექსიმამი წარუდგინეს სამოქალაქო მუნდირში გამოწყობილ, საშუალო ჰასაკის დაბალ, ბაკენბარდებიან მამაკაცს. მათ ზრდილობიანად გაუწოდეს ერთმანეთს ხელი. მასპინძლის მიწვევით შამილი დივანზე დაჯდა; მის მახლობლად დადგნენ ვაჟი ღაზი-მუჰამედი და მურიდები. იქვე იყვნენ ტრამპოვსკი და თარჯიმანი.

მცირე ხნის შემდეგ ღაზი-მუჰამედმა მამისაგან მიიღო ნებართვა დამჯდარიყო. შამილის ვაჟმა ხელის გულით გასინჯა სავარძლის ზამბარა, რამდენჯერმე გაიმეორა დაჯდომის პროცესი და შემდეგ ხალისიანად მოთავსდა შიგ.

შემოიტანეს ჩაი.

ახალგაზრდა მთიელები სვამდნენ ჩაის და არ ივიწყებდნენ ეთიკეტს, რომელიც რუსულ ოჯახებში იყო მიღებული; არ დაივიწყნიათ ისიც კი, რომ ხელსახოცები ფინჯნის ქვემოდ დაედოთ. საქმე გაართულა ოღონდ ტკბილეულმა: როცა დესერტი და კომფეტები შემოიტანეს, მთიელებმა არ იცოდნენ, როგორ შეჰქცეოდნენ (შამილს არც კი დაუხედია ტკბილეულისათვის, ისე იყო გართული მასპინძელთან საუბარში). ღაზი-მუჰამედს უფრო ოქროს ქაღალდში გახვეულმა კონფეტებმა გაუძნელა საქმე: პირველად ფიქრობდა ქაღალდიანად მოექბიჩა, შემდეგ შეეჭვდა, იფიქრა, იფიქრა და ბოლოს ჯიბეში ჩაიდო.

სხვაგვარად ეჭირა თავი შამილს.

აქაც, უცხო მამაკაცებისა და მანდილოსანთა საზოგადოებაში, ექსიმამმა შეინარჩუნა ძალდაუტანებელი სიმშვიდე და მკაცრი სისადავე. ლაპარაკობდა აუჩქარებლად და შეკითხვებზე უპასუხებდა მცირეოდენი დაფიქრების შემდეგ; მის მუდამ სერიოზულ სახეს ხანდისხან გაანათებდა ღიმილი ან მოკიაფე შუქი ქვევით დახრილ თვალებში.

მაგიდაზე საუბრობდნენ ჯგუფ-ჯგუფად.

ვიღაც ეკითხებოდა ტრამპოვსკის ექსიმამის ხასიათის გარშემო; პოლკოვნიკი ამბობდა: შამილი ისეა გულჩათხრობილი, რომ უახლოეს ადამიანებსაც უჭირთ მისი ნამდვილი ფიქრებისა და ზრახვების გამოცნობაო...

ბიბიკოვი მთელი ტანით შამილისაკენ იყო მიბრუნებული, ცალი ხელი სურთუკის ღილებს შორის გაეყარა და გულდასმით უსმენდა უჩვეულო სტუმარს.

— მე ძალზე მაკვირვებს ყველაფერი ნახული რუსეთში, — ამბობდა შამილი, ალბათ ქათინაურისათვის, რადგან შემჩნეული იყო, რომ ის არაფერს არ იკვირვებდა; — სტავროპოლში გამოვლისას მე გამაოცა ქალაქის სილამაზემ და სახლების მორთულობამ; მე შეუძლებლად მიმაჩნდა რაიმე უკეთესი მენახა; მაგრამ ხარკოვში და კურსკში ჩამოსულმა სავსებით გამოვიცვალე შეხედულება და ამ ქალაქების მოწყობილობის მიხედვით თუ ვიფიქრებ, შემიძლია წარმოვიდგინო, რა მოელის მოსკოვსა და პეტერბურგში!

ამას მოჰყვა საუბარი საერთოდ რუსული ქალაქების კეთილმოწყობილობაზე. შამილი გულდასმით ისმენდა მასპინძლის ნაამბობს რკინის გზისა და ტელეგრაფის გარშემო, ალბათ, ფარული განზრახვით: როცა მოსკოვში ნახავდა მატარებელს, ბავშვივით არ მიიტანდა ბაგესთან სალოკ თითს და გაკვირვებულ სახეს არ მიიღებდა.

იმ დროს, როცა ექსიმამი ხან გამოშვებით ეკითხებოდა ან უპასუხებდა ბიბიკოვს, მის ვაჟსა და მურიდებს ცეცხლოვანი მზერა გადაჰქონდათ მაგიდასთან მჯდომ ზოგიერთ ქალზე. ისინი ბრწყინავდნენ მოელვარე მკერდებით და ოთახს ავსებდნენ სიმღერის მსგავსად წარმოთქმული ფრანგულით. ღაზი-მუჰამედის გაპარსულ და გაფითრებულ სახეზე (რომელიღაც სტუმარმა იგი დანტეს ქანდაკს შეადარა) წითელმა ლაქებმა იფეთქეს. ახალგაზრდა ლეკები თითქოს სიკვდილის შემდეგ მათთვის აღთქმულ ედემში გრძნობდნენ თავს.

შამილი არ უცქეროდა ქალებს და თუ უნებლიედ მიიბრუნებდა სახეს მათკენ, მისი თვალები უმალვე მაგიდას ან იატაკს მიაჩერდებოდნენ: რწმენის კანონი უკრძალავდა ექსიმამს ჩადრახდილ მანდილოსანთა შორის ყოფნას.

ბიბიკოვთან შამილი დიდხანს არ დარჩენილა, ამ უცნაური მოგზაურობის დროსაც არ უღალატნია ვედენოში*) შემოღებული წესისათვის; სტუმართან საუბარს ან ვიზიტს იგი მხოლოდ ერთ საათს ანდომებდა. ბიბიკოვთან კი შამილმა საათნახევარი დაჰყო, შემდეგ წამოდგა და მადლობა გადაუხადა მასპინძელს გულითადი დახვედრისათვის:

— როგორც სამხედრო ტყვეს, მე არ შემეძლო, და არც მქონდა უფლება, ასეთი ალერსიანი მიღების მოლოდინი მქონოდა! — სთქვა მან.

— მე არ მეეჭვება, რომ თქვენ რუსეთის მიწაზე ყველგან ასეთი ყურადღებით შეგხვდებიან! — უპასუხა ბიბიკოვმა (გუბერნიის მმართველმა მშვენივრად იცოდა, რომ ასეთი „გულთბილი“ დახვედრა განზრახ, ევროპის წინაშე თავის გამოსაჩენად იყო მოწყობილი).

შამილმა გაიმეორა თავისი chakehands, მასთან გამოსამშვიდობებლად მისულ ქალებს რამდენიმე აღმოსავლური ქათინაურით გამოეთხოვა და ბიბიკოვის სასტუმრო ოთახი დასტოვა.

ღაზი-მუჰამედს გასვლის დროსაც არ დაუვიწყნია კიდევ ერთხელ მოეხედნა ლამაზებისაკენ.

O

კურსკში უკვე წელიწადია არსებობდა იტალიური ოპერა, რომლის დასი გუბერნიის უფროსს მოეწვია ქალაქის მდორე ცხოვრების გამოსაცოცხლებლად. იტალიური ოპერა მართლაც აკმაყოფილებდა მუსიკის მცოდნეთა და დამფასებელთა მოთხოვნილებას. მსახიობები ჩინებულად ასრულებდნენ როლებს, თეატრის პრიმადონას მანსეის და გრინიასკის სახელები აქ ყველას პირზე ეკერა.

მაგრამ ზაფხულისა და შემოდგომის თვეებში ხალხი მაინც ნაკლებ დაიარებოდა თეატრში, დარბაზი მაყურებლებით ივსებოდა მხოლოდ ზამთარში, როცა ქალაქგარეთ სიარული არ ხერხდებოდა და სხვა გასართობებიც აღარ იყო. კურსკში შამილის გზად გამოვლამ ერთბაშად შესცვალა მდგომარეობა. ჯერ კიდევ დილით ექსიმამს გამოეთქვამს თეატრში მისვლის სურვილი. ბიბიკოვმაც, შამილისათვის რომ ესიამოვნებინა, იტალიური დასის ხელმძღვანელ ბერგერს დაავალა შეედგინა სპექტაკლი რამდენიმე ოპერის ცალკე აქტებისაგან და ტყვეებისათვის ეჩვენებინა.

საღამოს შვიდ საათზე თეატრი უკვე განათებული იყო. ყველა ლოჟა და სავარძელი მაყურებლებს დაეკავებინათ. ქალები ლორნეტებითა და ბინოკლებით იყვნენ შეიარაღებულნი. ლოჟების კიდეებზე ეწყო ფერად მარაოები და ზედ მათი პატრონების ხელთათმანები ელაგა. პარტერის პირველი რიგები სამხედრო პირებს ეჭირათ.

მათ უმოძრაო სახეებს სიამაყეს მატებდათ შამილთან ბრძოლაში მოპოებული ორდენები.

ოცდაათი წუთის შემდეგ თეატრის მარცხენა, საშუალო ლოჟაში გამოჩნდა შამილი და მისი ამალა. ის პროფილით დაჯდა და მარჯვენა მკლავი ლოჟის კიდეზე დაასვენა. მაყურებლებმა თვალები ექსიმამს მიაპყრეს.

როცა დარბაზი დაბნელეს და ორკესტრმა იგრიალა, შამილმა თავისი დიდი დურბინდი მოიმარჯვა.

მუსიკის ხმებმა მსმენელნი უმალვე სხვა ქვეყანაში გადაასახლეს. ბევრს ებადებოდა ასეთი კითხვები: სიზმარი ხომ არაა ყოველივე ეს? — შამილი კურსკში!.. თეატრში!.. იტალიურ ოპერაში!.. ცალი თვალით იცქირება ერთმილიან დურბინდში და ათვალიერებს სცენას და მაყურებლებს!..

აქვს თავისი ბედი იარაღსაც!

ხმალი, ექსიმამს რომ არტყია, ამიერიდან არ დასტოვებს ქარქაშს! მისი სატევარი არ გაიელვებს გიაურის თავზე! დამბაჩის ლულიდან არ ავარდება თოფის წამლის ბოლი!.. მხოლოდ დურბინდი, ის, რომლითაც ერთი თვის წინ იმამი გუნიბის მწვერვალიდან უცქეროდა ბარიატინსკის ბანაკს და ურუსთა ჯარის მოძრაობას, დურბინდი, რომელიც მრავალი წლების განმავლობაში არეკლავდა ხოლმე მისი მურიდების იერიშებს მტრის მიერ დაკავებულ აულებისა და მთის მწვერვალთა წინააღმდეგ, მხოლოდ ეს დურბინდი, ერთად-ერთი მის დანარჩენ იარაღიდან, კიდევ ემსახურებოდა შამილს. მაგრამ უჩვეულო სურათს უცქეროდა ექსიმამი ამ დურბინდიდან: გამადიდებელი მინის რკალში მწვანე ჩალმიანი მურიდების ნაცვლად ახლა უცნაურად მორთული ქალ-ვაჟნი მოსჩანდნენ, საჩეჩნოს უღრანი ტყეების მაგიერ სცენაზედ ქაღალდის ხეები იდგნენ და ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი ერთი მხევალი განსაკუთრებით ფართოდ აღებდა ბაგეებს...

სხვა გვარი იყო ხმებიც:

ერთი თვის წინად შამილის სმენამდე აღწევდა არტილერიის გრგვინვისებური ხმაური და ბარიატინსკის მუქარა — თუ არ დანებდებოდა, ააფეთქებდნენ ჰაერში გუნიბს და თვითონ მასაც ცოლებითა და მურიდებითურთ. ახლა კი ორკესტრი ასრულებდა ვერდის მუსიკას და მსახიობი მღეროდა იტალიურ მოტივს:

— Una voce poco fa! ..

წარმოდგენა დაიწყო Il Trovatore — ს მესამე აქტით. ტყე.—ტრაურული ხორო „Miserere“,—ტრუბადურის გამოსათხოვარმა არიამ და ლეონორას სასოწარკვეთილმა მოთქმამ ღრმად იმოქმედეს შამილზე: მან რამდენჯერმე შეიმშრალა თვალები. ღაზი-მუჰამედი და მურიდები კი გულამომჯდარი ქვითინებდნენ.

ლეონორას როლის შემსრულებელი, თეატრის პრიმადონა ზეიმობდა: მან შესძლო ცრემლის გამოწვევა მრისხანე მთიელის თვალებში...

შამილი და მუსიკა!

ოცდაათი წელიწადი არავინ უკრავდა მის სამშობლოში, არავინ ერთობოდა თარით და ჩონგურით. ყველა აზარტულ გართობას, რომელიც მთიელთა გონებას თრობით ემუქრებოდა, შამილი სასტიკად სდევნიდა. მხოლოდ მისი სიჭაბუკის დროს ცხოვრობდნენ იქ ძველებურად, თვითონ მას ბევრჯერ უთამაშნია ლეკური გიმრის*) მოედანზე და ბაღებში... ო, ეს სიჭაბუკის წლები! მაშინ ცამეტი წლის ხორია**) აულის წყაროსთან ან წისქვილში უცდიდა ხოლმე მას, ვაზის ფოთლისფერ ჩადრს მალულად აიხდიდა, მღელვარე მკერდზე ნაწნავებს გაიშლიდა და პირდაპირ სულში უცქეროდა გრძელ წამწამებში ჩამჯდარი ქარვისფერი თვალებით!

მას შემდეგ მრავალი ჯოჯოხეთური წამება გამოიარა მან და ამჟამად სამოცდასამი წლის შამილი, იმამ-ულააზამ***) თვითონ ისმენდა მუსიკას კურსკის იტალიურ ოპერაში და ლეონორას უკუღმართი ბედით იყო შეძრწუნებული.

სამწუხარო სცენა შესცვალა მხიარულმა აქტმა ოპერიდან Il Barbiere di Seviglia. როზინას როლს ამ ოპერაში მოხდენილად ასრულებდა მომღერალი ქალი გრინიასკი. ღაზი-მუჰამედი და დანარჩენი ლეკები უმალვე გაამხიარულეს „სევილიელი დალაქის“ სახუმარო სცენებმა. ექსიმამი კი მშვიდად ისმენდა ოპერას და მხოლოდ ხანდისხან იღიმებოდა.

ანტრაქტის დროს შამილი თითქოს სინამდვილეს უბრუნდებოდა, ღრმად ამოიოხრებდა ან უხმოდ ამოძრავებდა ბაგეებს — ლოცულობდა ან იმეორებდა ყურანის რომელიმე სურას. თან მარცვლავდა კრიალოსანს თავისი ლამაზი ხელით, რომლის ერთი შერხევა სიკვდილს მახარობლობდა დაღისტანში.

ლოჟებსა და პარტერში კი ისმოდა რეპლიკები:

— Voyez ce grand Chamil![1] — ამბობდა ხანგადასული ქალბატონი, რომელიც პარტერის პირველ რიგში იჯდა და ლორნეტით ზვერავდა ექსიმამს.

— Qu'il est beau! qu'il est magnifique![2] — უმოწმებდა გვერდით მჯდომი მამაკაცი, რომელიც სიმსუქნისაგან ძლივს ამოძრავებდა კისერს.

— Voilà le type d'un héros![3] — გაისმოდა სხვა ადგილას.

— D'un brigand![4] — ამბობდა ვიღაც.

— D'un martyr![5] — ედავებოდა იმავე ხმას მეორე, უფრო ბოხი ხმა.

მაყურებლები ვერ შეთანხმებულიყვნენ, სხვადასხვანაირად აფასებდნენ შამილის გარეგნობასა და მის ზვიად სიწყნარეს. ხშირი იყო ასეთი გამოთქმები:

— Как он печально—молчалив!

— Как он величественно—задумчив!

— Quel sublime silence![6]

— Quelle tristesse concentrée![7]

— Это деревенский мулла!

— Это мужик!

— Fi! il n'a même pas l'air distingué![8]

წარმოდგენა დამთავრდა სავიეთის სცენით ოპერიდან Columello, — რომელშიაც თავისი კომიკური ნიჭით მოხიბლა მაყურებლები თვით დასის ხელმძღვანელმა ბერგერმა.

ხალხი იშლებოდა...

შამილს ეკითხებოდნენ, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე წარმოდგენამო. ექსიმამი მაყურებლებით გარშემორტყმული მიემართებოდა გასასვლელ კარებისაკენ (ის ყველაზე მაღალი სჩანდა ამ ხალხში) და ამბობდა, რომ თეატრი საერთოდ მოსწონს, მაგრამ სიმღერა უფრო, ვიდრე ორკესტრი, რადგან ადამიანის ხმა უფრო წვდება ჩვენს გულსო. შამილი გაუტაცნია მწუხარე სცენებს, სადაც კარგად ყოფილა გამოხატული განცდებისა და ვნებათაღელვის ძალა. ღაზი-მუჰამედი და დანარჩენი მთიელები კი უფრო მხიარულ სცენებს მოუხიბლავთ.

ყველანი მიიწევდნენ იქით, საითაც „კავკასიელი ვეფხვი“ მიაბიჯებდა.

როცა ხალხი ქუჩაში გამოეფინა ვიღაც უცნობმა მანდილოსანმა (მას მკერდთან ღრმად ამოჭრილი კაბა ეცვა, თეთრი სახე და ლაჟვარდოვანი თვალები ჰქონდა) ხალხის ტალღა გაარღვია და ახლო მიიჭრა შამილთან; ტყვეები კარეტაში ჩასაჯდომად ემზადებოდნენ. უცნობი ქალი გამომწვევი კოკეტობითა და მისატევებელი უტიფრობით შესცქეროდა თვალებში შამილსა და მის ვაჟს, თან რაღაცას ეკითხებოდა სხაპასხუპით; თარჯიმანმა გადაუთარგმნა შამილს:

— მანდილოსანი კითხულობს: რად არ მობეზრდა შამილს ამდენხანს ბრძოლა, ხომ ხედავს როგორი ტკბილი და მშვიდობიანი ცხოვრება გვქონია რუსეთშიო!

ექსიმამი თავდახრილი უსმენდა თარჯიმანს. ქალი გრძნობდა მისი თვალების სრბოლას საკუთარ მკერდზე. როცა შამილი მიხვდა ქალის შეკითხვის აზრს, მან წარბები შეჰყარა, ერთბაშად ასწია თავი და შემდეგ მარტოოდენ ქვედა ბაგით გაღიმებულმა, უცნობის მხრებს გადაღმა ისროლა მსუბუქი ფრაზა:

— გადაეცით მანდილოსანს, რომ მე მართლაც მომბეზრდა მრავალწლიანი ომი და ეხლა მათთან მოვედი დარჩენილი წლების გასატარებლად ტკბილ და უზრუნველ მოცალეობაში... რადგან, ომი კი არა, თეთრი თაფლი და თეთრი ქალიც ჰბეზრდება ზოგჯერ ადამიანს!

შემდეგ მისი ახოვანი ტანი სწრაფად დაიმალა კარეტაში.

O

კარეტა არწევს შამილის სხეულს. მას ორივე ხელი მუხლებზე უძევს. პატარა სარკმელიდან გასცქერის ტროტუარზე მიმავალ ხალხს. ექსიმამი პირს არ იბრუნებს გვერდზე მჯდომ ვაჟისა და ტრამპოვსკისაკენ და ისე ამბობს, თითქოს თავისთავს ელაპარაკებოდეს:

— ყველაზე დიდი ომი, რომელსაც უზენაესის კარნახით გადაიხდის ხოლმე ადამიანი თავისი რწმენისათვის ამ ქვეყნად, ქალებს ყოველთვის ახირებულ ან თავმომაბეზრებელ თამაშად მიაჩნიათ! ვალლაჰ, დიაცი ყველგან ერთნაირია: მათ არაფერი ესმით ჩვენი ტანჯვების!..

ფანრებიან ბოძების ახლო ჩავლისას მკრთალი სინათლე ეცემა შამილის სახეს: მას თვალები დაუხუჭავს, წარბებს შორის ღრმა ნაოჭი უფრო გაზრდია, კარეტა ირწევა და არხევს მის ჩალმიან თავს.

„გალიაში მთვლემარე ლომი, რომელსაც ძველი ბუნაგი ეზმანება!“ — გაიფიქრა ტრამპოვსკიმ.

---

*) ბიოგრაფიული ტრილოგიიდან „შამილი“ (ტომი 2, თავი 26).

*) ვედენო — შამილის რეზიდენცია საჩეჩნოში 1846-1859 წ. წ.

*) გიმრი — შამილის სამშობლო აული ყოისუბუში, დაღისტანში.

**) ხორია — მისი პირველი ცოლი.

***) იმამ-ულ-ააზამ — დიდი იმამი.

1) შეხედეთ ამ დიდ შამილს!

2) რა მშვენიერია! რა დიდებულია!

3) აი გმირის ტიპი!

4) არა, ეს აბრაგის ტიპია!

5) მოწამის ტიპია!

6) რა დიადი დუმილია!

7) რა ღრმა სევდაა!

8) ფუი! მას კეთილშობილი გამომეტყველებაც კი არა აქვს!

# ერსკინ კოლდუელი თბილისში

ცნობილი ამერიკელი მწერალი ერსკინ კოლდუელი ოთხი რომანისა და რამდენიმე ათეული მოთხრობის ავტორი, დაიბადა 1903 წელს. მას მეტად თავისებური ბიოგრაფია აქვს. სამწერლო ასპარეზზე გამოსვლამდე იგი მუშაობდა ბამბის მკრეფავად, ხეტყის სახერხ ქარხნებში, იყო გამყიდ-



ველად, მუშაობდა პარიკმახერად, მზარეულად და, ვინ იცის, კიდევ რამდენი პროფესია გამოიცვალა.

სამწერლო ასპარეზზე კოლდუელი ამ ათიოდე წლის წინად გამოვიდა. 1931 წელს დაიბეჭდა მისი მოთხრობების პირველი წიგნი, რომელმაც ავტორს სახელი გაუთქვა და დიდი პოპულარობა მოუპოვა. იგი მუდმივად მოგზაურობს, ეცნობა თავისი ქვეყნის ხალხს, ყოფა-ცხოვრებას. კოლდუელს ბევრი რამ უნახავს, მან ბევრი რამ იცის, მაგრამ ყველაზე კარგად ის იცნობს თავისი ქვეყნის სამხრეთისა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მცხოვრებთ, ბამბის პლანტაციების ადამიანებსა და ფერმერებს. ამ ხალხის ყოფასა და ხასიათს, ლაპარაკსა და შეხედულებას, ტრადიციას და ცრუმორწმუნეობას, კოლდუელი ოსტატურად ასახავს თავის შესანიშნავ მოთხრობებში.

პირველ ხანებში კოლდუელის მოთხრობების დაბეჭდვას გაურბოდნენ ამერიკული ჟურნალ-გაზეთები. ამ გაზეთების მესვეურების აზრით ეს მოთხრობები შეურაცხყოფდნენ ადამიანთა ღირსებას.

კოლდუელი — ნოველისტი რთული და მრავალფეროვანი მწერალია. ყოფა-ცხოვრებითი მოთხრობების გარდა, მას აქვს ფაქიზი და რბილი ტონებით დაწერილი ფსიქოლოგიური ეტიუდები, რომლებშიაც მოცემულია ადამიანთა უძვირფასესი განცდები და განწყობილებები.

კოლდუელს სხვა და სხვა ჟანრის მოთხრობები აქვს. შეხვდებით ფოლკლორულ თხრობას, ანეგდოტებსა და ფარსებს, ფსიქოლოგიურ ეტიუდებს და ხასიათთა გაშლილ ნოველებს.

ერსკინ კოლდუელი არ კმაყოფილდება მარტო მოთხრობებისა და რომანების წერით. მის კალამს ეკუთვნის მრავალი მეტად მოხდენილად დაწერილი მხატვრული ნარკვევი — ცალკე წიგნად გამოვიდა ნარკვევები შიმშილის კლანჭებში მოქცეულ ამერიკის მშრომელებზე და სხვ.

მწერალი თავის ნარკვევებს ურთავს ფოტო-დოკუმენტებს, რომლებიც უფრო აძლიერებენ კალმით აღწერილს.

კოლდუელი თავის მეუღლე მარგერიტ ბორკ-უაიტთან ერთად სცემს ფოტოსურათების წიგნებს. ეს წიგნები შეიცავენ ფოტონარკვევებს და ნათლად ასახავენ მოგზაურობის დროს რეალისტური თვალით დანახულსა და შემჩნეულს.

ერსკინ კოლდუელი ეკუთვნის ამერიკელ მწერალთა იმ ჯგუფს, რომელმაც კარგად შეიგნო ხალხთა მასების გაღატაკებისა და უბედურების მიზეზები, ამ მწერლებმა ნათლად დაინახეს კაპიტალისტური სამყაროს სიმახინჯე და საშინელება.

კოლდუელი თავის უკანასკნელ მოთხრობებში დიდი ოსტატობით გვიხატავს კაპიტალიზმის შინაგან წინააღმდეგობებს და კაპიტალისტურ ქვეყნებში აუტანელი ექსპლოატაციის შედეგად გაწამებული ადამიანების ყოფა-ცხოვრებას.

მწერალი ერსკინ კოლდუელი და მისი მეუღლე ცნობილი ამერიკელი ფოტო-რეპორტიორი მარგარეტ ბერკუატი უკანასკნელ ხანებში საბჭოთა კავშირში მოგზაურობენ. მათი მიზანია—გაეცნონ ჩვენი დიადი ქვეყნის მიღწევებსა და ყოფა-ცხოვრებას.

ამჟამად ისინი თბილისში იმყოფებიან.

# ორი ლექსი

გიორგი კაჭახიძე

## ჩემი სოფლის ყვავილი

[illegible]

## აკაცია

[illegible]

# დამარიკოს ყვავილები

გიორგი გიასლი

[illegible]

[illegible]

# აქტიორული ახალგაზრდობა გ. ერისთავის კომედიაში

დ. ჯანელიძე

სასწავლო წლის დასასრულს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში ვნახეთ **აკ. ვასაძის** კლასის IV კურსის გამოსაშვები სპექტაკლი.

სტუდენტები მეტწილად ახერხებენ პიესის ავტორის აზრის სწორად ამოკითხვასა და ავტორის შთანაფიქრის მართლად განსახიერებას. სპექტაკლის მთელი რიგი სახეებით აშკარავდება ცალკეული სტუდენტების ინდივიდუალური აქტიორული მონაცემები და თვისებები. რამდენიმე სტუდენტი სრული ძალით აღწევს სცენური განსახიერების მკაფიობას, პოულობს შესრულების საკუთარ სტილს და ბოლომდე იცავს დედააზრის შესატყვისად მონახულ ფორმას. თითქმის ყველა მეტნაკლებობით, რამდენიმე კი სრული ძალით ახერხებს ბუნებრივ სცენურ მოძრაობას და გულმართალ თქმას შესაფერი სცენური სახიერება შესძინონ. ყოველივე ეს, რასაკვირველია, პედაგოგების და, უპირველეს ყოვლისა, კლასის ხელმძღვანელის დამსახურებაა.

სპექტაკლი „დავა“ აღსავსეა ჭაბუკური მგზნებარებით. მთელი რიგი სცენები მოცულია პოეტურობით, მეგობრობისა და სიყვარულის ლამაზი განცდებით. მთელი რიგი კომიკური პერსონაჟები ცოცხალი და აზრიანი სიცილის აღმძვრელი ძალით არიან განსახიერებული.

გ. ერისთავის პიესები თითქმის ასი წელიწადია სცენაზე ცოცხლობენ, და ამ ხნის განმავლობაში აქტიორულ განსახიერებაში გაჩნდა და დამკვიდრდა შტამპი, რომლისგანაც თავის დაღწევა მხოლოდ რამდენიმე მაღალნიჭიერმა არტისტმა შესძლო. აკ. ვასაძემ სტუდენტები მოარიდა შტამპს და მათი ინტერესი ძნელი, მაგრამ ახალის ძიების გზით წარმართა.

სპექტაკლი განხორციელებულია არა როგორც საყოფაცხოვრებო პიესა, არამედ როგორც მაღალი კლასიკური კომედია, — მოვლენების განმაზოგადოებელი, მკვეთრი და მონუმენტალური სახეებით მთელი ეპოქის (და არა ამა და ამ სოფლის, უბნის ყოველდღიურობის) გამომხატველი. აკ. ვასაძის დადგმით კომედია გამსჭვალულია რომანტიკული პოეზიის სულით, რაც მეტად საინტერესოდ და ახლებურად აჟღერებს სპექტაკლს. ასეთი გააზრება სპექტაკლში ყველგან, ყოველთვის და ყველას მიმართ არ არის დაცული და შეიძლება ეს იყოს ამ სპექტაკლის ნაკლი. სპექტაკლის საერთო გააზრებას არ შეესიტყვისება დაწეული ტონის საყოფაცხოვრებო დეკორატიული გაფორმება. მთელი რიგი პერსონაჟებიც (მაგ., ნინო, იაია ჭიორელი, სოროზანი, ამირინდო და რამდენადმე ონოფრეც) შესრულების ყოფითი ხასიათით ეთიშებიან დადგმის სტილს.

ყველაზე ცოცხალი შთაბეჭდილება შეგვრჩა **ნ. ბადრიძის** მიერ შესრულებულ მარქიტასაგან. ნ. ბადრიძეს მალა და ტექნიკა შესწევს სცენურ სახეს შინაგანი არსი შეუქმნას და ამის შესატყვისი გარეგნული მკაფიო სახიერებაც მოუპოვოს. ბადრიძე აღწევს ფორმის დახვეწილობას. მას კარგი სცენური ტემპერამენტი გააჩნია და მისი გამოყენების შნოც შეუძენია.

**ზ. ლეჟავას** (ნინო), მართალია, ახალგაზრდა მსახიობისათვის საკმაოდ განვითარებული მონაცემები, მომხიბვლელობა, ბუნებრიობა და უშუალობა გააჩნია, მაგრამ სცენურ წარმოსახვაში სიტყვა საკმაოდ ვერ აქვს გამთბარი გრძნობითა და განცდებით. ერთი სიტუაციიდან მეორეში გადასვლისას ჯერ კიდევ ვერ აღწევს სრულ სახეცვლილებას.

**ნ. ქარაზანაშვილის** მიერ განსახიერებული გამდელი მეტად სურათოვანი, ცოცხალი და ტიპიური სახეა, რომელზედაც მართლაც რომ ზედგამოჭრილია მიხეილის მიერ შერქმეული სახელი — „კეპინიხევსკაია ვედმა“. ნ. ქარაზანაშვილს გააჩნია სცენიურობის მახვილი გრძნობა, სახასიათო პერსონაჟის ტიპიურობით ჩამოძერწვის უნარი და სხვათაგან განსხვავებული შესრულების საკუთარი იერი. გონებამახვილურად აგებს სახასიათო ინტონაციებს, მაგრამ ჯერ კიდევ ხანგრძლივი და ბეჯითი მეცადინეობა დასჭირდება, რომ სრულყოფით მეტყველებდეს.

**დ. წულაძე და ქ. ფიცხელაური** (სიდონია) ახერხებენ განსახიერებულ სახეს მონუმენტალობის ელფერი მისცენ, მოხდენილად უჭირავთ თავი სცენაზე და ზომიერების ტაქტით დასამახსოვრებელ სახეებს ჰქმნიან. მათ წარმოსახვას რამდენიმედ მკაფიობა და დეტალიზირება აკლია.

**დ. ძნელაძე** ლომისეულის უპრეტენზიო შესრულებით ამჟღავნებს დაკვირვების უნარს, ცხოვრებაში ნახულისა და განცდილის სცენაზე გამოყენების შნოს, მაგრამ მის წარმოსახვას ჯერ კიდევ აკლია განმაზოგადოებელი ძალა, სცენიურობისა და გარეგნული ფორმის შეგრძნების სიმახვილე.

**ე. შიხინოვას** კარგი თვისებები გამოაჩნდა ხალისიანი და ცქრიალა შეყვარებული გოგონას წარმოსადგენად.

**დ. ფხაკაძე** სათუთად, თუ შეიძლება ითქვას, რბილად და თანაც მომხიბვლელად ანსახიერებს როლს. ლექსსაც აზრიანად, მართლად და გრძნობით კითხულობს და ყველა ამ თვისების გამო მართლაც რომ ჩინებულად არის შერჩეული პოეტ ბეგლარის როლისათვის. მან სცენური კეთილშობილებით, ლირიული ტონით, სცენაზე თავისუფალი თავდაჭერით და ზომიერების ტაქტით რომანტიკოსი პოეტის საინტერესო და განზოგადოებული სახე დაგვიხატა. ვუსურვებთ წარმოსახვის მეტ მკაფიობას და ინდივიდუალურ იერს.

**გ. ვასაძე** (მიხეილი) სცენაზე გამოჩენისთანავე მაყურებელთან კარგ განწყობილებაშია, მის წარმოსახვას თან სდევს უშუალობა, სიმართლე და მომხიბვლელობა. ზოგჯერ ცოტაოდნად მოშვებულია, რაც როლის გარეგნულ სახიერებას მკაფიობას ჰპარავს. სცენიურობის შეგრძნების გამახვილებით მას ადვილად შეუძლიან გადასახიერების მეტი ძალა მოიხვეჭოს.

**დ. ავალიანმა** შეყვარებული ენაბლუ აბრამას სრულიად თავისებური, ცხოველი კომიზმით აღსავსე სახის შექმნით გაგვახარა. ის სრულ გადასახიერებას აღწევს შემოქმედებითი აღგზნებით, დაუცხრომელი ინიციატივით და გამომეტყველებით. განსახიერებულს მისი სცენიური კეთილშობილება და ზომიერება დამაჯერებლობას მატებს.

ჩინებული სცენური გარეგნობის და მონაცემების მქონე **ი. გორდულაძე** (ლომინ გოდაბრელიძე) განსახიერების განმაზოგადოებელ ძალას იჩენს. მისი ყოველი ჟესტი, მოძრაობა, სიტყვა, ურთიერთთან შეთანხმებული, მოსაწონი თეატრალობით ჟღერს. მისი ბუნებრივი ჰუმორი მთელ დარბაზს სიცილით ავსებს. ზოგჯერ ღალატობს ზომიერების გრძნობას და სახის გარეგნული სურათოვნობა შარჟში გადაჰყავს.

**ა. ტურიაშვილმა** სარქის ბუღდანიჩის ძნელი როლის ასრულებით, თავისებური სცენური სახის შექმნით კარგი აქტიორული თვისებები გამოამჟღავნა. ტექსტს აზრიანად, იუმორის გრძნობით და მართლად კითხულობდა. „ტოჩკა და ზაპეტაიას“ განმაზოგადოებელი აზრი და მნიშვნელობა მისცა. როლის შესრულებას შემოქმედებითი ხალისის და ინიციატივის მადლი და ძალა ატყვია. ნაკლი ის იყო, რომ წარმოსახვაში გადასახიერების თანაბარი ძალა ყოველთვის არ იგრძნობოდა.

**ს. არაქელოვს** უფრო მეტი მკაფიო სახიერება უკეთ გამოაჩნდა ამავე როლში. მისთვის კარგი შენაძენია ზომიერების გრძნობა და სცენაზე თავისუფლად თავის დაჭერის შნო.

ჩვენ წინ გაცოცხლდა ახალი და თავისებური იერით ხარიტონ ფილიპიჩ ვზიატკინი. **ს. გვარამაძემ** გარეგნული ფორმის გამახვილებული შეგრძნებით, შესრულების საკუთარი სტილის მიგნებით, შემოქმედებითი სიცხოველით აღგვიდგინა შესანიშნავი სახე გიორგი ერისთავის კომედიისა. უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ ს. გვარამაძის სცენურ ქცევას მოტივირება აკლდა (თაროზე საქმეებში რას და რისთვის ეძებდა — სრულიად გაუგებარი დარჩა).

**ვ. ქუთათელაძე** სცენისადმი მოწიწების გრძნობით, ზომიერების ტაქტით, კეთილშობილების იერით სათუთად ანსახიერებს ამირინდოს როლს. საინტერესო და თავისებურ გარეგნულ სურათოვნობას უქმნის სახეს, მაგრამ რამდენიმედ აკლია მკაფიობა. სცენური სახე მეტ ნათელჩრდილს-კონტრასტებს მოითხოვს.

**თ. სიმონიშვილი** (ონოფრე) გამოირჩევა განსახიერების რბილი და სათუთი ტონით. მისი ონოფრე თავისებურად არის მოფიქრებული და ნიჭითმომადლებული შემოქმედებითი და სწავლით შენაძენი ზომიერების ტაქტით არის განხორციელებული.

**გ. გიგაურმა** რაფიელ არზამანოვის ეპიზოდურ როლში გარდასახიერების მოსაწონი ძალა გამოიჩინა და გაქნილი მოხელის მახინჯი ბუნება მეტყველი ჟესტით და მიმიკით წარმოგვისახა. მას მარჯვედ ჰქონდა მიგნებული ამ პერსონაჟის გარეგნული სახიერება.

**ბ. ტყეშელაშვილმა** დიამბეგის ეპიზოდური როლით შესძლო სახასიათო, მკვეთრად გამოხატული სახის შექმნა, მაგრამ მან ხანგრძლივად და ბეჯითად უნდა იმეცადინოს მეტყველების სრულყოფაზე.

**ნ. ჯადუგიშვილი, გ. ჩაჩავა** (მოურავი), **ვ. მჭედლიშვილი** (იაია ჭიორელი), **ვ. თუთბერიძე** (ბერუა) დამაჯერებელ სახეებს ჰქმნიან განსახიერების სცენიურობით, უშუალობით, სიმართლით და ზომიერების ტაქტით. მასობრივ სცენებში განსახიერების ცხოველი ძალით ამ სპექტაკლშიაც ყურადღება მიიქცია **გ. დემეტრაშვილმა**.

ასეთია ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა ერთი ჯგუფის ოთხი წლის სწავლით შეძენილი და განვითარებული აქტიორული თვისებები. მართალია, ამ სპექტაკლის შესრულებით მათ იმედი მოგვცეს, რომ ისინი საბჭოთა სცენის ღირსეული მსახიობები შეიქმნებიან, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ინსტიტუტის დასრულების შემდეგაც გამუდმებით იმუშავებენ თავიანთ თავზე.



სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი. გ. ერისთავის „დავა“ III აქტის ბოლო სცენა.

# მაქსიმ გორკი და მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა

ბესო ჟღენტი

გორკი შემოვიდა ლიტერატურაში, როგორც ახალი, სოციალისტური ტიპის მწერალი, რომლის მონოლიტურ პიროვნებაშიაც სრული ორგანიულობით გაერთიანდა აღმავალი რევოლუციური კლასის მხატვარიც, მოაზროვნეც და მოქალაქეც. იგი ლიტერატურის უდიდესი ნოვატორი და განმაახლებელია. მან გადაშალა ახალი ფურცელი კაცობრიობის სულიერი ცხოვრების ისტორიაში. იგი ფუძემდებელია სოციალისტური ლიტერატურისა, პირველი და უდიდესი კლასიკოსია სოციალისტური რეალიზმის მწერლობისა.

ლიტერატურის ისტორიაში იშვიათია მწერალი, რომელსაც ისე ერთბაშად მოეპოვებინოს ფართო პოპულარობა, რომლის სახელიც ისეთი სისწრაფით გადასცილებოდეს მშობელი ქვეყნის საზღვრებს, როგორც ეს წილად ხვდა გორკის. იმ დროს, როდესაც რუსეთში სცხოვრობდნენ და ქმნიდნენ მხატვრული სიტყვის გენიოსები ლევ ტოლსტოი და ანტონ ჩეხოვი, ხალხის წიაღიდან გამოსულმა ახალგაზრდა მწერალმა გორკიმ თავისი პირველივე მოთხრობების წიგნით ყოველთაო ყურადღება დაიმსახურა და დიდი მწერლის სახელი დაიმკვიდრა. სამწერლო მოღვაწეობის უკვე პირველსავე პერიოდში გორკის იცნობდა მთელი მოწინავე კაცობრიობა. თავითვე აშკარა იყო, რომ ამ უაღრესად ნაციონალური მწერლის შემოქმედება თავისი რეზონანსით და ისტორიული დანიშნულებით შორს სცილდებოდა მშობლიური, ნაციონალური კულტურის ფარგლებს და ღრმა, წარუშლელ კვალს სტოვებდა მთელი პროგრესიული კაცობრიობის სულიერ ცხოვრებაში. **ლენინი** გორკის შეფასებისას ყოველთვის ხაზს უსვამდა მისი შემოქმედების უდიდეს მნიშვნელობას არა მარტო რუსეთის, არამედ საერთაშორისო მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის თვალსაზრისით.

ბუნებრივია, რომ გორკი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მთელს მანძილზე ღრმად გამანაყოფიერებელ ზეგავლენას ახდენდა ყოფილი რუსეთის იმპერიის მიწა-წყალზე მოსახლე ხალხთა ლიტერატურისა და კერძოდ ქართული ლიტერატურის განვითარებაზე.

ქართველი ხალხისათვის, რომელიც თავისი სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებით უკვე დიდი ხნით და ღრმად იყო დაკავშირებული რუს ხალხთან, არ შეიძლებოდა მშობლიური და მახლობელი არ ყოფილიყო გორკის შემოქმედებითი იდეები, არ შეიძლებოდა ამ იდეების ცხოველი გამოძახილი არ ეპოვნა უახლეს ქართულ მწერლობაში.

ცნობილია, რომ არც ერთი რუსი და ევროპიელი მწერლის ნაწარმოებნი არ თარგმნილა ქართულ ენაზე ისეთი სიუხვით და სისწრაფით, როგორც მ. გორკის ქმნილებები. გამოქვეყნების თითქმის მეორე დღესვე ქართველი ხალხი მშობლიურ ენაზე ეცნობოდა გორკის თითქმის ყოველ ახალ ნაწარმოებს. ამ ფაქტშიაც მკაფიოდ მოსჩანს ის ღრმა სულიერი ნათესაობა და იდეური სიახლოვე, რომელსაც გორკის მიმართ გრძნობდა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის მოწინავე ქართველი ინტელიგენცია—ქართველი მწერლობა.

ცხრაასიან წლებში სამწერლო სარბიელზე გამოსულ ქართველ მწერალთა მოგონებებში ნათლად არის გამოთქმული ის დიდი აღფრთოვანება, რომლითაც გორკის ყოველ ახალ ნაწარმოებს ეგებებოდა ამ პერიოდის ახალგაზრდა ქართველი სამწერლო ინტელიგენცია. ბუნებრივია, რომ ეს აღფრთოვანება, გორკის შემოქმედებისადმი ასეთი ცხოველი ინტერესი თავის შემოქმედებითს გამოხატულებას პოულობდა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში.

როდესაც ქართულ ლიტერატურაზე მაქსიმ გორკის ზემოქმედების შესახებ ვლაპარაკობთ, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს არა პირდაპირი მიმბაძველობისა და უშუალო ანალოგიების შემთხვევები, არამედ გორკის შემოქმედებითი მოტივების გამოძახილი, გორკისადმი თემატიური სიახლოვისა და იდეური ნათესაობის ფაქტები. ამ მხრივ უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს იროდიონ ევდოშვილის შემოქმედება.

იროდიონ ევდოშვილი სამწერლო სარბიელზე დაახლოებით იმავე დროს და ისეთსავე საზოგადოებრივ ვითარებაში გამოვიდა, როგორც მ. გორკი.

ეს გარემოება თავისთავად ჰქმნიდა ნიადაგს ქართველი პოეტის იდეურ და თემატიურ სიახლოვისათვის გენიალური რუსი მწერლის შემოქმედებასთან. მართლაც, იროდიონ ევდოშვილმა პირველმა ქართულს პოეზიაში გამოხატა სოციალური ცხოვრების ფსკერზე გადასროლილ ადამიანთა მძიმე ხვედრი, გვიჩვენა კაპიტალისტური წყობილების ტლანქი მანქანის ბორბლით გათელილ ადამიანთა ის სამყარო, რომელიც ასე ღრმად და მდიდრად გადაშალა გორკიმ, განსაკუთრებით თავის ადრინდელ ნაწარმოებში. იროდიონ ევდოშვილმა პირველმა ქართულ მწერლობაში ისევე, როგორც გორკიმ პირველმა რუსულ ლიტერატურაში, გამოხატა მუშათა კლასის უკმაყოფილებისა და რევოლუციური განწყობილების აღმავლობა, მშრომელი ხალხის საბრძოლო მისწრაფებანი და მოახლოვებული სოციალური ძვრების წინადგრძნობა, აღბეჭდილი მომავლისადმი რწმენითა და იმედით.

როგორც ვიცით, იროდიონ ევდოშვილი იყო გორკის ნაწარმოებთა ერთი პირველი მთარგმნელთაგანი ქართულ ენაზე. ცხადია, იგი ზედმიწევნით იცნობდა გორკის შემოქმედებას და სარგებლობდა ამ შემოქმედების გამოცდილებით, როდესაც მას ანალოგიურ თემებზე და პრობლემებზე უხდებოდა მუშაობა, თუმცა იგი არასოდეს არ მისულა პასიურ მიმბაძველობამდე. ეს შეუძლებელიც იყო, ჯერ ერთი იმიტომ, რომ გორკისაგან ევდოშვილს განასხვავებდა შემოქმედების ჟანრი, და მეორეც — მათ შორის დიდი იყო მსოფლმხედველობრივი სხვაობა, რამაც განსაკუთრებით თავი იჩინა ი. ევდოშვილის შემოქმედების მეორე პერიოდში — რეაქციის გამარჯვების ხანაში. ცნობილია ისიც, რომ თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „სიმღერა“, რომელშიაც ი. ევდოშვილმა 1905 წლის რევოლუციის ისეთივე წინადგრძნობა გამოხატა, როგორიც მოცემულია გორკის ნაწარმოებში „სიმღერა ქარიშხალზე“, ქართველმა პოეტმა დასწერა სავსებით დამოუკიდებლად და გამოაქვეყნა გორკის ამ შესანიშნავი ქმნილების გამოქვეყნებამდე რამდენიმე წლით ადრე.

გორკისათვის დამახასიათებელი მოტივებით არის აშკარად აღბეჭდილი ე. წ. „დემოკრატიული პოეზიის“ სკოლის მწერალთა შემოქმედება. ი. ევდოშვილის პოეტური ტრადიციის გამგრძელებელი პოეტები ამ სკოლისა — ნ. ჩხიკვაძე, ვ. რუხაძე, გ. ქუჩიშვილი და სხვები გორკისეური თანაგრძნობით უწვდიდნენ ხელს კაპიტალისტური წყობილების მიერ წელში გატეხილ და ცხოვრების ფსკერისაკენ დაქანებულ ადამიანებს და აგრეთვე გამოხატავდნენ მშრომელი ხალხის გულის წყრომას კაპიტალისტურ-მემამულური წყობილებისადმი, თუმცა ვერ ახერხებდნენ გორკისებურად ამაღლებულიყვნენ თანმიმდევრულად პროლეტარული მსოფლმხედველობის დონემდე.

ადამიანობის მგზნებარე აპოლოგია და ბურჟუაზიული საზოგადოების მძაფრი კრიტიკა აკავშირებს მ. გორკის შემოქმედებითს ტრადიციებთან მეცხრამეტე საუკუნის დამლევისა და მეოცე საუკუნის დამდეგის ერთ-ერთ შესანიშნავ ბელეტრისტ შიო არაგვისპირელს.

ერთის შეხედვით მათ შორის თითქოს არაფერი უნდა იყოს საერთო. არაგვისპირელისათვის დახშული იყო სოციალური პერსპექტივა და მის მიერ დახატული მწუხრით მოცული სურათი სოციალური სინამდვილისა მოკლებული იყო ოპტიმისტურ ნათელს, რაც ასე უხვად თავს ადგას მაქსიმ გორკის მთელს შემოქმედებას. მაგრამ ამგვარი განსაზღვრულობის მიუხედავად, შიო არაგვისპირელის ყოველი მოთხრობა თვალწინ გადაგვიშლის ადამიანის იმ უსაზღვრო ტანჯვის, უბედურებისა და მწუხარების ამაღელვებელ სურათებს, რომლებიც მოიტანა კაპიტალისტურმა წყობილებამ. იმ მოთხრობებში, რომლებშიაც შიო არაგვისპირელი ბურჟუაზიული საზოგადოების მორალის კრიზისის გამომხატველ სურათებს და კაპიტალისტური წყობილების წიაღში დამახინჯებულ და გაუბედურებულ ადამიანთა დრამას გადმოგვცემს, იგი უეჭველად აღწევს იმ დროინდელი საზოგადოებრივი ვითარების გორკისებურად მძაფრი მხილების ძალას.

მაქსიმ გორკიმ პირველმა გამოხატა რუსულ ლიტერატურაში ის დაუნდობელი შურისძიება, რომლითაც დროებით გამარჯვებული თვითმპყრობელური რეაქცია ანგარიშს უსწორებდა 1905 წლის რევოლუციის გმირებს, მშრომელი ხალხის ერთგულ შვილებს. გორკის შემოქმედების ეს მოტივი თავისებურ გამოძახილს ჰპოვებს მეოცე საუკუნის დამდეგის, ნიჭიერი მწერლის ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებაში, თუმცა ამ უკანასკნელმა ეს თემა გაამუქა არსებითად სხვაგვარი მხატვრული საშუალებებით და ასევე განსხვავებული მასალის ფონზე. ჭოლა ლომთათიძემ დახატა რევოლუციის დამარცხებით გულგატეხილი და დაბნეული, რევოლუციასა და რეაქციას შორის მოქანავე ინტელიგენტთა სახეები და მთელ რიგ ეტიუდებში აღძრა პრობლემა ინტელიგენციის როლისა და ადგილისა რევოლუციაში. როგორც ვიცით, ამ პრობლემას მიუძღვნა გორკიმ თავისი მრავალი საუკეთესო ნაწარმოები, დაწყებული პიესით „მზის შვილები“ და გათავებული კაპიტალური ქმნილებით „კლიმ სამგინით“.

რევოლუციის დროებითი დამარცხებისა და რეაქციის ძალთა მძვინვარების ასახვისას ჭოლა ლომთათიძემ ვერ გამოხატა ხალხის წიაღში დაგროვილი საბრძოლო განწყობილებათა ახალი აზვირთების პერსპექტივა. ამაში გამოჩნდა ყველაზე მკაფიოდ ამ ნიჭიერი ბელეტრისტის მსოფლმხედველობრივი განსაზღვრულობა, რამაც საშუალება არ მისცა მას ცხოვრების განვითარების ტენდენციების ღრმად გაგებისა და გამოხატვისათვის.

ამ მხრივ ბევრად უფრო ახლოს მივიდნენ საკითხის გორკისებურ დაყენებასა და გადაჭრასთან თავიანთ ადრინდელ, რევოლუციის წინადროინდელ ნაწარმოებებში თანამედროვე ქართველი მწერლები შალვა დადიანი და ლეო ქიაჩელი.

ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“ ღრმად ორიგინალური ნაწარმოებია როგორც ტიპაჟისა და ყოფა-ცხოვრებითი მასალის მხრივ, ისე სიუჟეტური კომპოზიციის თვალსაზრისით. მაგრამ თავისი ძირითადი იდეური მიზანდასახულობით იგი უეჭველად ეხმაურება გორკის შესანიშნავ რომანს „დედა“-ს.

როგორც „დედა“, „ტარიელ გოლუაც“ უპირველეს ყოვლისა 1905 წლის რევოლუციის მამოძრავებელ ძალებისადმი აპოლოგეტური განწყობილებით არის აღბეჭდილი. იგი ხალხის მებრძოლი სულისა და დიდი რევოლუციური გაქანების გამოხატულებას გვაძლევს და, რაც მთავარია, განამტკიცებს რწმენას, რომ რევოლუციის საქმემ მხოლოდ დროებითი მარცხი განიცადა, რომ ხალხი უკვდავია და უძლეველი, იგი კვლავ ამოუწურავ საბრძოლო პოტენციას იტევს, რომელიც უფრო მეტის ძალით იფეთქებს პირველსავე შესაფერ შემთხვევაში.

რევოლუციის ძალთა ახალი აღმავლობის ეს პერსპექტივა მ. გორკიმ განასახიერა გადასახლებული რევოლუციონერის პაველ ვლასოვის დედის პელაგეია ნილოვნას სახეში, რომელმაც, ჟანდარმების მიერ ყელში ხელწაჭერილმა, მაინც წარმოსთქვა მომავლისადმი რწმენით და მებრძოლი სულით აღბეჭდილი სიტყვები. ასევე ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუას“ მთავარი გმირი — დაღუპული რევოლუციონერის ლევანის მამა — მოხუცი გლეხი ტარიელი თავისი მრისხანე გულისწყრომით და თავგანწირული სულისკვეთებით ტიპიურ გამოხატულებას გვაძლევს ხალხის ქედუხრელობისა და გაუტეხლობისა თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

მკაფიოდ გამოხატა ეს იდეა აგრეთვე შალვა დადიანმა თავის ადრინდელ დრამატურგიულ ქმნილებებში. მისი პიესები „მღვიმეში“, „როს ნადიმობდნენ“ და სხვ., სადაც გორკისებური სიმძაფრით ნაჩვენებია ორი, ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრებული, სოციალური სამყაროს ინტერესთა მწვავე შეურიგებლობა, თავის დროზე წარმოადგენდნენ გამამხნევებელ სიტყვას, აღბეჭდილს მშრომელი ხალხის საბრძოლო იდეალების აუცილებელი გამარჯვების რწმენით.

მეცხრამეტე საუკუნის დამლევისა და მეოცე საუკუნის დამდეგის ქართულ მწერლობიდან აღებული ეს რამდენიმე მაგალითიც ცხადად გვიჩვენებს, თუ რამდენად ძლიერი და გამანაყოფიერებელი იყო მ. გორკის შემოქმედებითი იდეების ზემოქმედება ჩვენს ლიტერატურაზე მაშინაც, როდესაც ჩვენი სამწერლო ინტელიგენციის დიდი ნაწილი დეკადენტური განწყობილებებით იყო შეპყრობილი.

ბუნებრივია, რომ სოციალისტური ლიტერატურის დიდი ფუძემდებლის შემოქმედებითი ტრადიციები გაცილებით უფრო ფართო და უშუალო განხორციელებას პოულობენ საბჭოთა ეპოქის ქართულ ლიტერატურაში, რომელიც მთლიანად გორკის მიერ გაკვლეული გზით ვითარდება, სოციალისტური რეალიზმის სტალინური მეთოდის ნიადაგზე.

უახლესი ქართული ლიტერატურა, ქართველი საბჭოთა ხალხის სულიერი ცხოვრება ბევრით არის დავალებული მაქსიმ გორკისაგან, როგორც თვით მაქსიმ გორკის ბევრი რამ მისცა საქართველომ, ქართველმა ხალხმა. დიდმა პროლეტარულმა მწერალმა შესანიშნავად გამოსთქვა თავისი დამოკიდებულება ქართველი ხალხისადმი: „შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ ქართული ბუნების სიდიადემ, ხალხის რომანტიულმა სინაზემ, სწორედ ამ ორმა ძალამ გადამაქცია მე, მოხეტიალე, ლიტერატორად“.

## ისევ ესტრადის რეპერტუარის შესახებ

[illegible]

...შემოქმედებითი დიაპაზონი.

ჩვენ გვყავს ისეთი მწერლები, რომელთაც ესტრადისათვის მეტად ნაყოფიერი დახმარების გაწევა შეუძლიათ.

[illegible] ...ვი ხელოვნების, რეპერტუარის შექმნას. მწერალთა საზოგადოებრიობაზეა დამოკიდებული ამ რთული და საპატიო ამოცანის გადაჭრა.

**ს. ლანდია**

## სიმონ ჩიქოვანის შემოქმედების საღამო ქუთაისში

[illegible] ...შემოქმედებითი ეტაპები, ილაპარაკა პოეტის შემოქმედების თავისებურებაზე, რომლითაც მან მოიპოვა მოწინავე საბჭოთა პოეტის სახელი.

პოეტის შემოქმედების შესახებ სიტყვები წარმოსთქვეს კ. მეძველიამ და ვ. გუგუშვილმა.

[illegible] ...მეძღვნ გამოვიდა [illegible] პოეტი სიმონ ჩიქოვანი.

დარბაზი გულთბილად შეეგება პოეტს.

საღამოს დასასრულს გამოვიდნენ მომღერალთა ადგილობრივი გუნდი და მუსიკალური ძალები.

## ი. ლისაშვილის რომანის „კეცხოველის" საჯარო განხილვა გორში

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციისა და მწერალთა კავშირის ინიციატივით 14 ივნისს გორში მოეწყო იაკინთე ლისაშვილის რომანის „კეცხოველის" საჯარო განხილვა. 15 ივნისს ქალაქის საზაფხულო კლუბის შენობაში დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. გორის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა გარდა, განხილვას დაესწრნენ ტყვიავიდან ჩამოსული კოლმეურნეები.

განხილვაში მონაწილეობის მისაღებად თბილისიდან ჩავიდნენ რომანის ავტორი იაკინთე ლისაშვილი, მწერლები ნიკო ლორთქიფანიძე, სიმონ ჩიქოვანი, სანდრო ეული, რაჟდენ გვეტაძე და ბესო ჟღენტი.

შესავალი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგემ ამხ. ხუციშვილმა.

რომანის „კეცხოველის" შესახებ მოხსენებით გამოვიდა ბესო ჟღენტი.

მოხსენების გარშემო პირველი გამოვიდა ტყვიაველი კოლმეურნე, ლადო კეცხოველის სიყრმის მეგობარი გიგო ჩიხლაძე. მან დამსწრე საზოგადოებას უამბო ლადო კეცხოველის ცხოვრებიდან მეტად საინტერესო ეპიზოდები და კმაყოფილებით აღნიშნა ის ფაქტი, რომ ისეთ დიდ ადამიანზე, როგორიც ლადო კეცხოველია, მხატვრული ნაწარმოები დაიწერა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერმა მუშაკმა ს. ხუციშვილმა, გორის პედინსტიტუტის დოცენტმა ა. ოლონტმა და სიმონ ჩიქოვანმა, რომელმაც თავისი სიტყვის დასასრულს წაიკითხა კეცხოველისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი—„ბელადის ძმობილი". ლადო კეცხოველისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა სანდრო ეულმა.

დასასრულ, სიტყვა წარმოსთქვა ი. ლისაშვილმა, რომელმაც აღნიშნა დამსწრეთა მისდამი გულთბილი დამოკიდებულება და მადლობა გადაუხადა მათ ასეთი საქმიანი და საინტერესო შეხვედრისათვის.

## ილია სიხარულიძის შემოქმედების საღამო

14 ივნისს მწერალთა სასახლეში გამართა საბავშვო პოეტის ილია სიხარულიძის შემოქმედების საღამო.

საღამო, რომელსაც დაესწრნენ მწერლები, პედაგოგები და მკითხველები, შესავალი სიტყვით გახსნა პოეტმა გიორგი კაჭახიძემ.

მოხსენება ილია სიხარულიძის საბავშვო პოეზიის შესახებ წაიკითხა ან. ღვინიაშვილმა. მომხსენებელმა ვრცლად გააცნო დამსწრე საზოგადოებას ილია სიხარულიძის შემოქმედებითი გზა, რომელიც პოეტმა განვლო სამი ათეული წლის განმავლობაში. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ილია სიხარულიძე დღეს თითქმის ერთად-ერთი პოეტია, რომელიც სწერს სკოლამდელთა ასაკის ბავშვებისათვის. პოეტი კარგად იცნობს ბავშვის ბუნებას, მის ხასიათსა და მისწრაფებას. იგი გასაგებად სწერს პატარებისათვის, გარემოსა და მოვლენებს დამაინტერესებლად აჩვენებს ბავშვებს. თავისი პოეტური მუშაობის პირველ წლებიდანვე ილია სიხარულიძე მოზარდ მკითხველებს უნერგავს შრომისა და თავისუფლების სიყვარულს. ოქტომბრის რევოლუციის დიადმა წლებმა გაამრავალფეროვანეს ილია სიხარულიძის პოეზია და მეტი ძალა შემატეს მას. პოეტის საყვარელ თემებად გადაიქცნენ: საბჭოთა სკოლა, ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ბავშვები, მათი სიხარული, გართობა, დასვენება, მათი სიყვარული სოციალისტური სამშობლოსა და წითელი არმიისადმი, გმირი მფრინავებისადმი.

სიტყვებით გამოსულმა მწერლებმა რ. ქორქიამ, ს. წვერავამ, ლ. ჭიჭინაძემ, ვ. ხალიფაშვილმა და პედაგოგმა ქალმა ც. ლორთქიფანიძემ გააშუქეს ილია სიხარულიძის შემოქმედების ცალკეული მომენტები. დადებით მხარეებთან ერთად აღნიშნულ იქნა ილ. სიხარულიძის ლექსების ნაკლიც.

დასასრულ, ილია სიხარულიძემ წაიკითხა რამდენიმე საკუთარი ლექსი.

## საინტერესო ბიბლიოგრაფიული ნაშრომი

საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკამ გამოსცა ბიბლიოგრაფიული ნაშრომი **„ი. ბ. სტალინი ქართულ პოეზიაში"**.

წიგნი დიდის გულმოდგინებით არის შედგენილი და შეიცავს ქართველი საბჭოთა პოეტებისა და ხალხური მთქმელების ლექსებს ხალხთა დიდ ბელადზე, ამხანაგ **სტალინზე**.

ქართველი საბჭოთა პოეტები მთელი ხმით უმღერიან საყვარელ ბელადს. არ დარჩენილა არც ერთი მნიშვნელოვანი საბჭოთა პოეტი, რომელსაც არ გამოეყენებინოს თავისი პოეტური არსენალი ჩვენი ეპოქის უდიდესი ადამიანის, ხალხთა ბელადის ამხანაგ **სტალინის** მხატვრულ ნაწარმოებში ასახვისათვის.

არა მარტო პოეტები უმღერიან მშობლიურ **სტალინს**. ცენტრალურ და რაიონულ პრესაში სისტემატურად იბეჭდება ხალხური მთქმელების სიმღერები. ეს ლექსები და სიმღერები მთლიანად გამსჭვალულია დიდი ბელადისადმი უსაზღვრო სიყვარულით. ამ ლექსებში აღნიშნულია ჩვენი ქვეყნის უდიდესი მიღწევები, **ხალხის აღტაცება** ამ მიღწევებით.

წინამდებარე ბიბლიოგრაფიულ ნაშრომში აღნუსხულია ქართველი საბჭოთა პოეტებისა და ხალხური მთქმელების ლექსები, რომლებიც მიეძღვნა მშობლიურ **სტალინს** და დაიბეჭდა ქართულ პერიოდულ პრესაში და ლიტერატურულ კრებულებში 1921 წლიდან 1939 წლის 1-ლ დეკემბრამდე.

ბიბლიოგრაფიულ საძიებელში შეტანილია არა მარტო ის ლექსები, რომლებიც მთლიანად მიეძღვნა ამხანაგ **სტალინს**, არამედ ის პოემები და ლექსებიც, სადაც ბელადს ცალკეული ტაეპები მიეძღვნა. ეს ტაეპები მეტწილად მოთავსებულია ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ტექსტში.

წიგნი შეიცავს სამ განყოფილებას: **სტალინის** ახალგაზრდობის დროინდელი ლექსები, **სტალინი** ქართულ პოეზიაში და **სტალინი** ქართულ ხალხურ პოეზიაში.

წიგნს დართული აქვს იმ გამოცემათა ანბანური საძიებელი, სადაც მოთავსებული იყო ამ წიგნში აღნუსხული მასალა.

ეს ბიბლიოგრაფია დიდ დახმარებას გაუწევს ლიტერატურათმცოდნეთ და ლიტერატურის ფართო მკითხველ მასებს.

ბიბლიოგრაფიული ნაშრომი შედგენილია მ. იორდანიშვილის, მ. მელაძის, კ. ბახტაძისა და ლ. ეგორაშვილის მიერ.

წიგნი გამოცემულია ი. აბაშიძის რედაქციით.

წიგნი შეიცავს 210 გვერდს, გამოცემულია ლამაზად და ღირს 15 მანეთად.

## მაქსიმ გორკის ნაწერები ქართულად

დიდი რუსი მწერლის მაქსიმ გორკის შემოქმედება თავიდანვე იქცევდა ქართველი საზოგადოების ყურადღებას. ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ბოლო წლებში ქართულ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა მისი მოთხრობების თარგმანები. 1902 წელს პირველად დაიბეჭდა და ცალკე წიგნად გამოვიდა ქუთაისში (სთარგმნა ს. რობაქიძემ) მისი ორი მოთხრობა („წმინდა ვასილი" და სხვ.). იმავე წელს თბილისში გამოვიდა მისი რამდენიმე მოთხრობა ი. გომართლის შესავალი წერილით, სადაც განხილული იყო გორკის ცხოვრება და შემოქმედება.

1905 წელს დაიბეჭდა „საპყრობილე", 1906 წ. „გრიგალის სიმღერა" და „შევარდენის სიმღერა".

1907 წელს გამოვიდა მისი პიესა „ნაძირალნი", თარგმ. ბეგლარასი. ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა „სამნი" (გიუნაშვილის თარგმანი) და სხვ.

მაქსიმ გორკის ნაწერების საფუძვლიანი თარგმნა იწყება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

1924 წლიდან დღემდე თარგმნილია და ცალკე წიგნებად გამოცემული მ. გორკის შემდეგი ნაწერები: „9 იანვარი", „არტამონოვების საქმე" (თარგ. ლეო ქიაჩელისა), „ადამიანის დაბადება", „ქარიშხალი", „ჩელკაში", „ჩემი უნივერსიტეტები" (თარგ. ილია აგლაძისა), „დედა", „რუსული ზღაპრები", „იტალიური ზღაპრები", „სიკვდილი და ქალიშვილი" და სხვ.

ზოგიერთი მისი თხზულება ქართულად გამოვიდა რამდენჯერმე („არტამონოვების საქმე", „სიკვდილი და ქალიშვილი", „დედა" და სხვა). მ. გორკის პიესა „მტრები" იდგმება საქართველოს თეატრებში.

გარდა მხატვრული ნაწერებისა, სისტემატურად ითარგმნებოდა ქართულად მაქსიმ გორკის პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, რომლებიც იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში და ცალკე წიგნებადაც გამოდიოდა.

თარგმნილია და დაბეჭდილი „განდიდებულთა და დამწყებთა შესახებ", „ვისთანა ხართ თქვენ კულტურის ოსტატნო"? „ომის საწინააღმდეგო კონგრესის დელეგატებს", „კავკასიის ამბების შესახებ", „მტკიცედ მრწამს თქვენი გამარჯვება", „ვ. ი. ლენინი", „საუბარი უკრაინის მწერლებთან" და სხვა.

საბჭოთა პერიოდული პრესა იმავე დროს სისტემატურად აშუქებდა მ. გორკის მრავალფეროვან შემოქმედებით მუშაობასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მრავლად არის გაფანტული წერილები, რომლებშიაც გარჩეულია უდიდესი რუსი მწერლის ცხოვრება და შემოქმედება.

პერიოდული პრესის ფურცლებზე მკითხველი მრავლად შეხვდება სპეციალური ხასიათის წერილებსაც: მ. გორკი ხალხურ შემოქმედებაში, მ. გორკი თეატრსა და კინოში. რამდენიმე წერილი მიეძღვნა მ. გორკის საქართველოში ყოფნას და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულად საკმაო მასალა მოგვეპოვება სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესასწავლად, თარგმნილია და გამოცემული მისი მრავალი თხზულება, ჩვენს ლიტერატურულ საზოგადოებრიობას კიდევ ბევრი მუშაობა მართებს, რათა ეს დიდი მწერალი უფრო სრულყოფილად იქნას წარმოდგენილი ჩვენში.

## ესტრადის მსახიობთა მეორე საკავშირო კონკურსი

11 და 12 ივნისს თბილისში, საქართველოს სახელმწიფო ესტრადის საზამთრო დარბაზში ჩატარებულ იქნა ესტრადის მსახიობთა მეორე საკავშირო კონკურსის პირველი ტური. ამ ტურს უნდა გადაერჩია ესტრადის მსახიობები კონკურსის მეორე ტურში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც მოსკოვში დაიწყება ამა წლის 20 ივნისიდან.

პირველ გადასარჩევ ტურში მონაწილეობას იღებდა საქართველოს ესტრადისა და საქართველოს თეატრების 50-ზე მეტი მსახიობი.

პირველმა ტურმა, რომელსაც შეიძლება საქართველოს საესტრადო ხელოვნების ძალთა დათვალიერება ვუწოდოთ, გვიჩვენა, რომ საქართველოს საესტრადო ხელოვნებამ 1939 წელს ჩატარებული პირველი საკავშირო კონკურსის შემდეგ საკმაო წარმატებას მიაღწია. მაგრამ ამავე ტურმა საქართველოს საესტრადო ხელოვნების ბევრი ნაკლი და მოუმზადებელი მხარე გამოავლინა. ტურმა გვიჩვენა, რომ ორი წლის მანძილზე ნაკლთა გამოსწორებისათვის არ უზრუნვია არც საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების სამმართველოს და არც საქართველოს სახელმწიფო ესტრადის დირექციას.

როგორც პირველი ტურის შედეგებიდან გამოირკვა, საქართველოს ესტრადა ჟანრებით ცალმხრივია და მას ესტრადისათვის აუცილებელი მრავალფეროვნება არ ახასიათებს. კონკურსის მონაწილეთა დიდი უმრავლესობა ქორეოგრაფიული, ვოკალური და სალაპარაკო ჟანრის ნომრების შემსრულებელნი არიან. ესტრადას სრულიად არ ჰყავს საკრავებზე შემსრულებელნი (თუ არ ჩავთვლით ორ მეტად სუსტ ნომერს), აკრობატები, გიმნასტები, საესტრადო კლასიკური ცეკვების, საცირკო-საესტრადო ნომრების შემსრულებელნი, ჟონგლიორები, ილუზიონისტები და სხვა, რაც მის ღირსებას საგრძნობლად ამცირებს. ბევრ მსახიობს აკლია ესტრადისათვის აუცილებელი დინამიურობა, ორიგინალობა, სიმკვირცხლე და სხვა, რაც ან თვით მსახიობთა თავიანთ თავზე სუსტი მუშაობის შედეგია, ან მდარე ხარისხის რეპერტუარიდან გამომდინარეობს.

ყველაზე უფრო მრავალფეროვნად, შინაარსიანად და შესრულების მაღალი ხარისხით კონკურსზე წარმოდგენილი იყო ქართული და კავკასიური ქორეოგრაფია, რომელსაც პირველი კონკურსის შემდეგ წარმატებისათვის მიუღწევია. შემსრულებლებს ეტყობათ, რომ ისინი ქორეოგრაფიული ნომრების ძიებას დიდ ყურადღებას აქცევენ. ამ მხრივ აღსანიშნავია მოცეკვავე გიორგი გავაშელის მიერ მეტად საინტერესოდ მოფიქრებული „ხევსური ნადირობაზე" და „კოლმეურნეობის ბრიგადირის ცეკვა", რომლებსაც ესტრადის ეს ნიჭიერი მსახიობი გემოვნებით ასრულებს. კარგად ასრულებს გავაშელი აგრეთვე ქისტურს. დადებით შთაბეჭდილებას სტოვებს პირველად დამუშავებული და შესრულებული, „ქართული რითმიული ცეკვა დოლზე", რომელსაც ასრულებს ახალგაზრდა მოცეკვავეთა ტრიო გ. ხერხეულიძის, მ. შუბაშიკელისა და ა. თათარაძის მონაწილეობით. კარგი იყო ბ. დარახველიძისა და თ. ჩხაიძის მიერ შესრულებული „ლეკური". შეუთანხმებლად შეასრულეს „მთიულური" და „ბაღდადური" ჩახავამ და ჩიხლაძემ; ასევე სუსტი იყო ძმების ქორიძეების „მთიულური". დამუშავება აკლდა ორიგინალურად მოფიქრებულ „საკოლმეურნეო ცეკვას სიმღერით", რომელსაც ასრულებდნენ დები ფოცხვერაშვილები და თ. თოიძე. მეტად სუსტი იყო სიხარულიძის, გეჯაძისა და აბულაძის მიერ შესრულებული „მთიულური ცეკვა".

საესტრადო - ვოკალურ დარგიდან კარგი იყო თბილისის მაყურებლისათვის კარგად ნაცნობი, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი, ორდენოსანი ნ. ხარაძე, რომელმაც გრძნობით შეასრულა დოლიძის რომანსი „ახ! ტურფავ შენი ჭირიმე" და კომპოზიტორ დე-ლიბას „ესპანური სიმღერა". ამ მსახიობს აქვს სასიამოვნო ხმა და კარგი ტექნიკა.

მისასალმებელია, რომ ქართულ ესტრადაზე ხანგრძლივი მივიწყების შემდეგ კვლავ დაიწყეს ძველი ქართული სიმღერების შესრულება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მომღერალი ანა ვარდიაშვილი, რომელმაც დუდუკის ანსამბლის აკომპანიმენტის თანხლებით ერთხელ კიდევ გამოამჟღავნა თავისი ნიჭი და ტკბილი ხმა. ლამაზი ტემბრიანი ლირიული ტენორი აქვს ახალგაზრდა მომღერალს შ. ვაშალომიძეს. აღმოსავლური ანსამბლი სუკიასოვის ხელმძღვანელობით და მომღერლების იმერლიშვილისა და დუმბაძის მონაწილეობით საინტერესო წამოწყებაა (დუეტი დუდუკის თანხლებით).

სალაპარაკო-ფელეტონურ ჟანრში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრეს მარჯანიშვილის სახ. თეატრის მსახიობებმა ა. კვანტალიანმა და ა. გომელაურმა. მათმა ცოცხალმა, მოხერხებულად შედგენილმა მუსიკალურმა პაროდიამ ესტრადაზე (ტექსტი პატარაიასი, მუსიკა კერესელიძისა) დამსახურებული აღფრთოვანება და ჯანსაღი სიცილი გამოიწვია მაყურებელში. პაროდიაში ლამაზადაა დალაგებული მუსიკალური შაირები, სიმღერა, ესტრადის დიალოგები, დეკლამაცია, ხუმრობა, საცირკო ნომრები, სტვენა, ჯაზი და სხვა.

ქართლელ გლეხი ქალის ცოცხალ განსახიერებას იძლევა ნიჭიერი მსახიობი ნუნუ მაჭავარიანი, ოღონდ მის სიტყვიერ მასალას აკლია ლიტერატურული ღირსება, რასაც მსახიობმა აუცილებლად ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს. გამართლებული და კარგი, მხოლოდ ოდნავ გრძელი, რეპერტუარი ჰქონდა ნიჭიერ მსახიობს პეტრე ჭიჭინაძეს. კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობებმა ძაგნიძემ და ჩხიკვაძემ.

კონკურსზე საკრავ იარაღზე შემსრულებელთა მხოლოდ ორი ნომერი მოვისმინეთ: ოქსა არაქელოვის გიტარაზე დაკვრა და გიორგაძის ჰავაის გიტარა. სამწუხაროდ, ორივე ნომერი სუსტი იყო.

საქართველოს ესტრადამ და ხელოვნების სამმართველომ მომავლისათვის აუცილებლად უნდა აიღოს ინიციატივა და ესტრადის მსახიობთა მომზადების საქმეში ჩააბან საქართველოს ხელოვნების ოსტატები, კომპოზიტორები, მწერლები და პოეტები, რათა ქართული ესტრადის მუშაობა საბოლოოდ გაჯანსაღდეს.

კონკურსის ჟიურიმ, რომელშიაც შედიოდნენ: სსრკ სახალხო მსახიობები — აკაკი ვასაძე (თავმჯდომარე), აკაკი ხორავა, საქართველოს ხელოვნების სამმართველოს უფროსის მოადგილე ლეო ესაკია, საქართველოს ესტრადის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ორდენოსანი ლადო კავსაძე, გრ. ჩხიკვაძე, ხ. გრიგორაშვილი და პრესისა და ხელოვნების ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეორე ტურში მონაწილეობის მისაღებად გადაარჩია: საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი ორდენოსანი ნ. ხარაძე (სიმღერა), ა. კვანტალიანი და ა. გომელაური (სალაპარაკო ჟანრი), ანა ვარდიაშვილი (ძველი ქართული სიმღერები), დ. უშვერიძე (ბაღდადური), ბ. დარახველიძე და თ. ჩხაიძე (ლეკური), გ. გავაშელი (ქისტური ცეკვა), ა. თათარაძე, გ. ხერხეულიძე და მ. შუბაშიკელი (რითმიული ცეკვა დოლზე), მ. შილდელი (სიმღერა) და ნ. მაჭავარიანი (სალაპარაკო ჟანრი).

ჟიურიმ ზემოხსენებულთა გარდა განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსად სცნო: ვაშალომიძე, მიქელაძე, იმერლიშვილი და დუმბაძე (სიმღერა), დები ფოცხვერაშვილები და თოიძე, ჩიხლაძე და ფილიაშვილი (ცეკვა), ძაგნიძე და ჩხიკვაძე (ფელეტონები) და პ. ჭიჭინაძე და დოლყანოვი (სალაპარაკო ჟანრი).

**მერაბ ლორთქიფანიძე**

# ახალი წიგნები

### „ნარკვევები"

„ფედერაციამ" გამოსცა გერონტი ქიქოძის „ნარკვევები". წიგნში მოთავსებულია წერილები იოანე ბატონიშვილზე, ალექსანდრე ორბელიანზე, აკაკი წერეთელზე, ნიკო ნიკოლაძეზე, დავით კლდიაშვილზე და ვასილ ბარნოვზე.

წიგნი შეიცავს 114 გვერდს და ღირს 6 მან.

### უნივერსიტეტის „შრომები" № 18

**სტალინის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა „შრომების" მე-18 ნომერი.

„შრომებში" მოთავსებულია შემდეგი წერილები: „აკადემიკოსი ი. ჯავახიშვილი" (სარედაქციო წერილი), კ. კეკელიძე — „ძველი ქართული წელიწადი", ა. შანიძე — „თომას სახარების აპოკრიფის ქართული ვერსიის ნაწყვეტი და მისი გაუგებარი ადგილები", გ. ახვლედიანი — „ოსური ენის ისტორიისათვის", ა. ჩიქობავა — „სვანური მოთხრობითის ერთი ვარიანტი და სახელთა ბრუნების ორფუძიანობა ზოგ კავკასიურ ენაში", ვ. თოფურია — „რ და ნ თანხმოვანთა მონაცვლეობისათვის სვანურ ზმნებში", ს. ჯანაშია — „კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაოკლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ", პ. უშაკოვი — „ხეთების პრობლემა", ლ. მელიქსეთბეგი — „საქართველოს მეზობელ ქვეყანათა აღწერილობა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში", ს. ყაუხჩიშვილი — „ნოსირის ბერძნული წარწერა", ი. აბულაძე — „ქართული ბიბლიის ძველი ხელნაწერის რამდენიმე ფურცელი", ნ. ქოიავა — „კრიტიკა ბურჟუაზიული შეხედულებისა ფულზე", გ. ჩიტაია — „რაჭული სახვნელის ფარფლიანი ქუსლი" და 1940 წლის „შრომების" საძიებელი.

### „დიდი მოურავი"

„ფედერაციამ" გამოსცა ა. ანტონოვსკაიას რომანი „დიდი მოურავი", პირველი წიგნი, ნაწილი მეორე.

„დიდი მოურავი" თარგმნილია ა. ჭუმბაძის მიერ.

წიგნი შეიცავს 268 გვერდს და ღირს 13 მან.

### „მზის ღიმილი"

აფხაზეთის სახელგამმა ქართულ ენაზე გამოსცა პოეტ შალვა ლორთქიფანიძის ლექსების წიგნი — „მზის ღიმილი". კრებულში მოთავსებულია 39 ლექსი.

წიგნი შეიცავს 102 გვერდს და ღირს 5 მან.

### „ჩვენი თაობა" № 5

გამოვიდა ჟურნალ „ჩვენი თაობის" მე-5 ნომერი. ჟურნალში დაბეჭდილია მხატვრულ ლიტერატურის განყოფილებაში: ვაჟიკა ფხოველის „გაზაფხული", გიორგი კალანდაძის „ალაგირთან", სიმონ მეტრეველის „უკანასკნელი ნადავლი", გიორგი ძიგვაშვილის „შეხვედრა", ვლად. უბილავას უსათაურო ლექსი, ვლადიმერ სულაბერიძის „ჭადართან" და იოსებ მჭედლიშვილის „იიანა ბუიანა" (გაგრძელება).

კლასიკური მემკვიდრეობის განყოფილებაში დაბეჭდილია გოეთეს „[illegible]რთი და ბაიადერი" (თარგმ. ხ. [illegible]დოშვილისა), მ. ლერმონტოვის „[illegible]რი" (ნაწყვეტი—თარგმანი დ. გაჩეჩილაძისა), ი. ფრანკოს „მემალარი" (თარგმ. ი. აგლაძისა).

კრიტიკის განყოფილებაში მოთავსებულია ი. მაისურაძის წერილი „პოეტური ენის სიწმინდისათვის ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებაში".

ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში დაბეჭდილია ალ. სივუას „ლიტერატურული მატიანეს", წიგნი I-II და შ. ღლონტის ლადო ბალიაური—„შურისგება".


სარედაქციო კოლეგია:
ი. აბაშიძე, შ. დადიანი, ს. ეული, გ. ლეონიძე, გ. ნატროშვილი,
შ. რადიანი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვ. წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე) ტელეფონი 3—47—10.

უე 21710

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.